განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ეკონომიკა

დოქტორანტურა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 06.10.2021

დასკვნის წარდგენის თარიღი: 13.11.2021

თბილისი 2021

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საჯარო სამართლის იურიდიული პირი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211349192
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ეკონომიკა
უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	ეკონომიკის დოქტორი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0311 ეკონომიკა
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	-
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	პროგრამა პირობითად აკრედიტებულია აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 8 დეკემბრის №117328 გადაწყვეტილებით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**მარინა ჩავლეიშვილი** სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**მერაბ კაკულია** შპს საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA), საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**ეკატერინე მიქელაძე** დამსაქმებელი, დამოუკიდებელი აუდიტორი, ბლექ ანდ ვიჩ სფეშელ პროჯექტს კორპის ფილიალი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**ია ნაცვლიშვილი** სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**თამარ თავხელიძე** შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ეკონომიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოზე (სტუ აკადემიური საბჭოს დადგენილება №01-05-04/107, 14 აგვისტო, 2020 წელი). პროგრამამ გაიარა პირობითი აკრედიტაცია 2020 წელს და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 8 დეკემბრის №1173284 გადაწყვეტილებით და 1 წლის ვადით მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია. ამჯერად, პროგრამა წარმოდგენილია ხელახალ აკრედიტაციაზე.

საგანმანათლებლო სადოქტორო პროგრამის „ეკონომიკა“ ხანგრძლივობაა ექვსი სემესტრი (3 წელი). პროგრამის სასწავლო კომპონენტია 60 ECTS, რომელიც მოიცავს სავალდებულო (55 ECTS) და არჩევითი კურსები (5 ECTS). კვლევითი კომპონენტი მოიცავს: პროექტს/პროსპექტუსს, სამ კოლოქვიუმს, სადისერტაციო ნაშრომის წინასწარ დაცვას. კვლევითი კომპონენტისა და მთლიანად პროგრამის შემაჯამებელ ნაწილს წარმოადგენს სადოქტორო ნაშრომი - დისერტაცია, რომელიც სრულდება საჯარო დაცვით. სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვამდე დოქტორანტს გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეს მინიმუმ სამი სამეცნიერო პუბლიკაცია და მიიღოს მონაწილეობა (პირადად გააკეთოს მოხსენება) მინიმუმ ერთ სამეცნიერო კონფერენციაზე. მისანიჭებელი კვალიფიკაცია არის ეკონომიკის დოქტორი (Doctor of Economics).

გაცემული რეკომენდაციების საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამაში განხორციელებულია მნიშვნელოვანის ცვლილებები და მოხდა მისი მოდიფიცირება.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ეკონომიკა“ აკრედიტაციის შეფასება განხორციელდა 2021 წლის 6 ოქტომბერს დისტანციურად, კომუნიკაციის

თანამედროვე ელექტრონული საშუალების Zoom პროგრამული პლატფორმის მეშვეობით. ვიზიტამდე, 2021 წლის 4 და 5 ოქტომბერს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის ორგანიზებით, Zoom-ის მეშვეობით, შედგა ექსპერტთა ჯგუფის მოსამზადებელი შეკრება. შეხვედრაზე, წარმოდგენელი დოკუმენტაციის, პროგრამისა და თვითშეფასების ანგარიშის განხილვის საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფის წევრების მიერ, პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, განისაზღვრა ვიზიტის დღეს ინტერვიუს პროცესში დასაზუსტებელი აუცილებელი კითხვები.

2021 წლის 6 ოქტომბერს, სტუ-ში ვიზიტის ფარგლებში, Zoom-ის პროგრამის გამოყენებით 10:00 საათიდან დაიწყო სამუშაო შეხვედრა პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან. სამუშაო განრიგის მიხედვით შეხვედრა/გასაუბრება შედგა უნივერისტეტის ადმინისტრაციასთან, ფაკულტეტის წარმომადგენლებთან, თვითშეფასების ჯგუფთან, აკადემიურ პერსონალთან, დოქტორანტების ხელმძღვანელებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან. ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, სააუდიტორიო ოთახები, ლაბორატორიები, დოქტორნტთა სამუშაო სივრცე, კაბინეტები და ა.შ) დათვალიერება, განხორციელდა ვიდეო ჩართვა, ეკონომიკური პროცესების მოდელირების ლაბორატორიიდან, აგრეთვე, ინტერვიუ ბიბლიოთეკის წარმომადგენლებთან. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება მიეცა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამის თითოეული სტანდარტის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ეკონომიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფის შეფასებითა და არსებული წესის გათვალისწინებით დადგინდა, რომ:

- **პირველი სტანდარტი** - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან
- **მეორე სტანდარტი** - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან
- **მესამე სტანდარტი** - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან
- **მეოთხე სტანდარტი** - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, რადგან ქვესტანდარტი 4.4 მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- **მეხუთე სტანდარტი** - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

- **რეკომენდაციები**

სტანდარტი 4, ქვესტანდარტი 4.4

- ➢ პროგრამის ბიუჯეტში აისახოს დოქტორანტების კვლევების მხარდასაჭერად საჭირო დაფინანსება.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

სტანდარტი 2, ქვესტანდარტი 2.1

- უცხო ენების დეპარტამენტმა, დოქტორანტობის კანდიდატის მიერ წარმოდგენილი ინგლისური ენის B2 დონის ცოდნის შესაბამისი დოკუმენტის შეფასება (დადასტურება) განახორციელოს წერილობით (დოკუმენტის შექმნით), ასევე, დაწესებულებამ განსაზღვროს რელევანტური სერთიფიკატების ან სხვა დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტების ჩამონათვალი.

- დოქტორანტობის კანდიდატთა გასაუბრების შეფასება განხორციელდეს არამარტო კვლევითი პროექტის შეფასების კრიტერიუმებით, არამედ გასაუბრებაც შეფასდეს გაზომვადი კრიტერიუმიებით.

სტანდარტი 2, ქვესტანდარტი 2.2

- სასწავლო კურსების - „გადაწყვეტილების მიღების მოდელები ეკონომიკაში“ და „ეკონომიკური უსაფრთხოება“ - შინაარსისა და შესასწავლი მასალიდან გამომდინარე, მოეხსნას წინაპირობა. აღნიშნული შესაძლებლობას მისცემს დოქტორანტებს უფრო მოქნილად (მობილურად) მოახდინოს სასწავლო კურსების არჩევა სემესტრების შესაბამისად.

სტანდარტი 2, ქვესტანდარტი 2.4

- დოქტორანტურის დებულებით გათვალისწინებული სამი პუბლიკაციიდან, ერთი გამოქვეყნდეს ისეთ ჟურნალში ან საკონფერენციო მასალათა კრებულში, რომელიც ინდექსირებულია Scopus-ში ან Web of Science-ში. აღნიშნული ცვლილება გაზრდის დოქტორანტთა კვლევის შედეგების დონეს, ხელს შეუწყობს საერთაშორისო აკადემიურ წრეებში აღიარებასა და უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის გაძლიერებას.

სტანდარტი 3, ქვესტანდარტი 3.1

- უნივერსიტეტმა გაზარდოს ფინანსური მხარდაჭერა, რათა უფრო აქტიური გახდეს სტუდენტების სამეცნიერო-კვლევით პროექტებში, საერთაშორისო კონფერენციებში, ფორუმებში, საერთაშორისო მობილობებში და სხვა მსგავს პროექტებში მათი მონაწილეობა.

სტანდარტი 4, ქვესტანდარტი 4.1

- აკადემიური პერსონალისთვის წაყენებულ მოთხოვნებში აისახოს Scopus-ის, Web of Science-ის ბაზებში ინდექსირებულ საერთაშორისი სამეცნიერო ჟურნალებსა და/ან კონფერენციათა მასალებში ნაშრომის გამოქვეყნების ვალდებულება.

სტანდარტი 4, ქვესტანდარტი 4.2

- ფაკულტეტის ბიუჯეტში ცალკე პუნქტებად (ნათლად) გამოიყოს პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის - პუბლიკაციების, სტატიების გამოქვეყნებისას, სახელმძღვანელოებისა და მონოგრაფიების გამოცემისას, კონფერენციებში/სიმპოზიუმებში მონაწილეობის მისაღებად (მხარდასაჭერად) საჭირო ფინანსური რესურსები.

სტანდარტი 5, ქვესტანდარტი 5.1

- თვითშეფასების ანგარიშში ფართოდ და სიღრმისეულად უნდა იყოს წარმოდგენილი ანალიტიკური ნაწილი.

სტანდარტი 5, ქვესტანდარტი 5.2

- დაწესებულების მიერ დარგის სპეციალისტებიდან, უცხოური/ადგილობრივი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან და დამსაქმებლებიდან მისაღები გარე შეფასების წინასწარ განსაზღვრული ფორმის შექმნა საგანმანათლებლო პროგრამის დეტალური შეფასების მიზნით.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- ფაკულტეტზე ახლადშექმნილი გრანტების ოფისი
- ფაკულტეტის საინჟინრო ეკონომიკის დეპარტამენტთან არსებული ეკონომიკური პროცესების მოდელირების ლაბორატორია
- ბიბლიოთეკაში არსებული რესურსების გამოყენებისა და მოხმარების წესების გაცნობის მიზნით საინფორმაციო შეხვედრები, ტრეინინგები სწავლების ყველა საფეხურის პირველი სემესტრის სტუდენტებისთვის

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

▫ წინა აკრედიტაციასთან შედარებით პროგრამა მნიშვნელოვნად არის გაუმჯობესებული და მასში გათვალისწინებულია მიცემული რეკომენდაციები, კერძოდ,

- დაზუსტებულია პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები;
- სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის სტრუქტურასა და შინაარსთან;
- შემუშავებულია სწავლის შედეგების შეფასების სამიზნე ნიშნულები;
- სრულყოფილია პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, კერძოდ, კვლევითი პროექტისადმი წაყენებული მოთხოვნები და შეფასების კრიტერიუმები ხელმისაწვდომია ვებ-გვერდის საშულებით;
- პროგრამას დაემატა ორი არჩევითი კურსი „მეტაეკონომიკა“ და „ეკონომეტრიკული ანალიზი“;
- განხორციელდა სილაბუსების მოდიფიცირება (შინაარსი, კრედიტების ცვლილება, ლიტერატურის განახლება, სწავლის შედეგების სრულყოფა);
- სასწავლო კურსის სილაბუსებში „ინსტიტუციური ეკონომიკა“, „ეკონომიკური უსაფრთხოება“ და „ღია ეკონომიკა“ გათვალისწინებულია დამატებულია სემინარები, შესაბამისად, დაკორექტირდა აღნიშნული სასწვლო კურსების კოდები.
- კურიკულუმის რუკაში დაზუსტებულია სასწავლო კურსების სწავლის შედეგებთან კავშირის ხარისხი;
- ცვლილებებია დოქტორანტურის დებულებაში, სადაც მკაფიოდ არის განსაზღვრული დოქტორანტის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობები;
- სტუ-ს ვებ-გვერდის საშუალებით საჯარო და ხელმისაწვდომია დოქტორანტურასთან დაკავშირებული ყველა წესი, მათ შორის, დისერტაციის გაფორმები წესიც;
- ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებულია ტრენინგები (შეხვედრები) პროგრამაში ჩართული პერსონალისთვის აკრედიტაციის ახალ სტანდარტების მოთხოვნების გაცნობისა და პრაქტიკაში მათი გამოყენების შესაძლებლობების შესახებ.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ეკონომიკის სადოქტორო პროგრამას 2020 წელს (საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით №1173284; 08.12.2020) 1 წლის ვადით მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია. მიმდინარე ეტაპზე, პროგრამაში განხორციელებულია მნიშვნელოვანი ცვლილებები და მოხდა მისი მიდიფიცირება. პროგრამის მიზანია უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნის საფუძველზე კონკურენტუნარიანი, ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე ორიენტირებული, ეკონომიკის აკადემიური დოქტორების მომზადება, რომელთაც შეეძლებათ: ეკონომიკის თანამედროვე გამოწვევების ახლებური გააზრება, მდგრად განვითარებაზე ორიენტირებული კრეატიული ხედვა, სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის და ინსტიტუციური მოწყობის შეფასება, კომპლექსურ საკითხებზე ოპტიმალური გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება და ღირებული რეკომენდაციების შემუშავება; ასევე, სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობის დამოუკიდებლად წარმართვა, სწავლების ინოვაციური მეთოდების დანერგვა, ახალი ცოდნის შექმნაზე ორიენტირებული კვლევის ჩატარება და შედეგების საჯაროდ წარდგენა, მკვლევართა საზოგადოებაში თავისუფალი ინტეგრაცია აკადემიური და პროფესიული კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით. პროგრამის მიზნები მკაფიოდაა ჩამოყალიბებული, ლოგიკური და თანმიმდევრული, დაკავშირებულია სწავლის შედეგებთან, შეესაბამება შრომის ბაზრის მოთხვნებს და მიღწევადია. პროგრამის შეთავაზებას განაპირობებს ეკონომიკის თანამედროვე გამოწვევები, ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრის ტენდენციები. პროგრამის მიზანი შეესაბამება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიას, აგრეთვე, ამ უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმასა და სამოქმედო გეგმას, რომლის ფარგლებში დაგეგმილია დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მჭიდრო თანამშრომლობა და პროგრამის განვითარება შრომის ბაზრის მოთხოვნებში მომხდარი ცვლილებების კვალდაკვალ. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუები ადასტურებს, რომ პროგრამის შემუშავებაში პროცესში მონაწილეობდნენ დოქტორანტები, დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები, პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი. მათი ჩართულობა გამოიხატებოდა ანკეტა-კითხვარის საშუალებით დაინტერესებული მხარეების გამოკითხვით, სადოქტორო

პროგრამის კურიკულუმზე მომუშავე ჯგუფის შეკრებებში მონაწილეობით.

პროგრამის და მისი მთავარი მიზნების შემუშავების დროს გათვალისწინებულია ადგილობრივი და უცხოეთის ცნობილი უნივერსიტეტების გამოცდილება, რაც დასტურდება შესაბამისი ანალიტიკური დოკუმენტითა და განხორციელებული ინტერვიუებით. წარმოდგენილია აგრეთვე დარგის ცნობილი სპეციალისტების, აკადემიკოსის და პროფესორების მაღალი შეფასებები.

2020 წელს დამტკიცებული და შემდგომში მოდიფიცირებული ეკონომიკის სადოქტორო პროგრამა საჯარო და ხელმისაწვდომია, იგი განთავსებულია საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ვებ-გვერდზე და ეკონომიკის სადოქტორო პროგრამა გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო პროგრამა „ეკონომიკა“;
- სადოქტორო პროგრამის „ეკონომიკა“ თვითშეფასების ანგარიში;
- საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სიციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტრატაგიული განვითარების გეგმა 2018-2024; http://social.gtu.ge/uploads/files/strategiuli_ganvitarebis_gegma/strategiuli_ganvitarebis_gegma.pdf?lang=ge
- სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმა 2018-2024. https://gtu.ge/pdf/Strategic_Plan_for_Development_of_gtu_2018-2024_01.pdf
- სადოქტორო პროგრამა, ფაკულტეტის ვებ-გვერდი http://social.gtu.ge/uploads/files/edu_programs/doc/ekonomika_doc_geo.pdf
- დაწესებულების ვებ-გვერდი https://gtu.ge/
- ინტერვიუ ადმინისტრაციის, თვითშეფასების ჯგუფის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და სტუდენტებთან.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ეკონომიკის წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა და ღირებულებებს, რომლებსაც დოქტორანტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

წარმოდგენილი დოკუმენტებისა და ინტერვიუებიდან დგინდება, რომ პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას გათვალისწინებულია პროგრამის სამუშაო ჯგუფის მოსაზრებები, შრომის ბაზრის კვლევის, გარე შეფასების, დამსაქმებლებისა და სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები.

სადოქტორო პროგრამის შედეგები შეესაბამება დოქტორანტურის დონეს, კურსდამთავრებულს აქვს შესაძლებლობა შეიძინოს კომპეტენციები, რომლებიც მიღწევადია, გაზომვადი, რეალისტური და მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი. პროგრამაში ჩამოყალიბებულია კურსდამთავრებულის უნარები და ცოდნა, კერძოდ,

- ✓ **მსჯელობს** ეკონომიკური თეორიის განვითარების მიმართულებების, საკვანძო ეკონომიკური პრობლემების, მათი გამომწვევი მიზეზებისა და ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის შესახებ;
- ✓ **განსაზღვრავს** უახლეს ცოდნაზე დამყარებული კომპლექსური კვლევების როლს ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებაში;
- ✓ **აანალიზებს** განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების ინსტიტუციური მოწყობის თანამედროვე პრაქტიკას და თავისებურებებს;
- ✓ **იყენებს** შესაბამის მეთოდოლოგიას და კვლევის რაოდენობრივ და თვისობრივ მეთოდებს გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში, სამეცნიერო ნაშრომებზე მუშაობის, კვლევითი პროექტების დამოუკიდებლად დაგეგმვის, ზედამხედველობის და შესრულების დროს;
- ✓ **დამოუკიდებლად წარმართავს** აკადემიურ პროცესს სწავლებისა და შეფასების თანამედროვე ტექნოლოგიებით;
- ✓ უახლესი ცოდნის საფუძველზე **შეიმუშავებს** ეკონომიკური პრობლემების გადაჭრის კრეატიულ მიდგომებს;
- ✓ ეკონომიკური მეცნიერების კვლევის მეთოდების ფლობის საფუძველზე **აყალიბებს** ეკონომიკური პრობლემების გადაჭრის გზებს;
- ✓ **წარმოაჩენს** ახალ ცოდნას არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში, სამეცნიერო კომუნიკაციის თანამედროვე ტექნიკის გამოყენებით როგორც სამეცნიერო, ასევე ფართო საზოგადოებასთან, ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე გამართულ თემატურ დისკუსიაში;
- ✓ **ავლენს** თანამედროვე დემოკრატიული ღირებულებებისადმი პატივისცემას, მათ რეალობაში დამკვიდრების სურვილსა და მზაობას.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს. პროგრამას თან ახლავს სწავლის შედეგების შეფასების მექნიზმების აღმწერი დოკუმენტი, რომელიც დეტალურად აღწერს სწავლის შედეგების პროცესს, ინდიკატორებსა და შეფასების გეგმას.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად, გამჭვირვალედ და ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას. მოიცავს შეფასების შესაბამის ფორმებსა და მეთოდებს, მისი საშუალებით დგინდება, თუ რამდენად მიაღწიეს კურსდამთავრებულებმა პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგებს.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისას გამოიყენება პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდები. პირდაპირი შეფასება მოცემულია სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში). ამ მეთოდით მოწმდება, მიაღწია თუ არა სტუდენტმა სწავლის შედეგს. არაპირდაპირი შეფასება ხორციელდება სტუდენტების, დამსაქმებლების, აკადემიური, მოწვეული და სამეცნიერო პერსონალი და კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგების და ანალიზის საფუძველზე.

წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და ჩატარებული ინტერვიუებით დადგინდა, რომ პერიოდულად მიმდინარეობს სტუდენტების კმაყოფილების კითხვარის შევსება, რომელიც ანონიმურია და ივსება ელექტრონულად, ასევე, ხდება ლექტორების შეფასებაც, ზოგჯერ ხდება სტუდენტების აზრის დაფიქსირება ანონიმურ ყუთში მათი წერილის მოთავსებით. შეფასებებს რეაგირებისთვის განიხილავს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ხოლო მონიტორინგს სტუდენტთა მოთხოვნების შესრულებაზე ახორციელებს ადმინისტრაცია.

სწავლის თითოეული შედეგისათვის პროგრამას განსაზღვრული აქვს სამიზნე ნიშნულები. ხორციელდება სწავლის შედეგების შეფასების შედეგების მონიტორინგი და სამიზნე ნიშნულებთან შედარება. ამ პროცესში მონაწილეობას იღებს პროგრამის ხელმძღვანელი, შესაბამისი აკადემიური და სამეცნიერო პერსონალი, აგრეთვე დარგის სპეციალისტები. პროგრამის სწავლების ხარისხის პერიოდულ შეფასებას, ასევე, ახორციელებს სტუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების საფაკულტეტო კომისია.

როგორც თვითშეფასების ანაგრიშიდან ირკვევა, დაწესებულებამ უკვე განახორციელა წარმოდგენილი მექანიზმებით მოქმედი პროგრამების სწავლის შედეგების შეფასება. პროგრამას დანართის სახით თან ახლავს უკვე შეფასებული პროგრამის შედეგები და შესაბამისი ანალიზი.

წარმოდგენილ აღწერილობებზე დაყრდნობით ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი სწავლის შედეგების მექანიზმი არის თანმიმდევრული, კომპლექსური და პროგრამის განვითარებაზე ორიენტირებული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო პროგრამა „ეკონომიკა“;
- სადოქტორო პროგრამის „ეკონომიკა“ თვითშეფასების ანგარიში;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- პროგრამის სწავლის შედეგები შეფასების გეგმა, (დანართი №4);
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შდეგების რუკა, პროგრამის სწავლის შედეგი, სამიზნე ნიშნულები პროგრამის თითოეული სწავლის შედეგისთვის (დანართი №4)
- პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების წესი, (სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №01-05-04/26, 23.09.2019), (დანართი №3);
- სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია (სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №2691, 27.12.2017).
- დარგის სპეციალისტთა გამოხმაურებები (დანართი №8);
- დაწესებულების ვებ-გვერდი: https://gtu.ge/; http://social.gtu.ge/?lang=ge.
- ინტერვიუ ადმინისტრაციის, თვითშეფასების ჯგუფის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან

და სტუდენტებთან.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ეკონომიკის სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვა რეგულირდება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდებითა და დოქტორანტურის დებულებით. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისა და მობილობის ინსტრუქციისა და პროგრამით განსაზღვრული წესის შესაბამისად. დოქტორანტურაში მიღების წესი და ჩარიცხვის პირობები განთავსებულია უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ვებ-გვერდზე.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები გამჭვირვალეა და ითვალისწინებს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე პირთა პროგრამაზე მიღებას, კერძოდ:

- ✓ ეკონომიკის სადოქტორო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დეტალური სფეროს - „ეკონომიკა“; „განათლების მეცნიერება“, „პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები“; „სოციალური და ქცევითი მეცნიერებები“; „საბუღალტრო აღრიცხვა და დაბეგვრა“; „ფინანსები, საბანკო საქმე და დაზღვევა“; „მენეჯმენტი და ადმინისტრირება“; „მარკეტინგი და რეკლამა“; „სამართალი“;„სტატისტიკა“; „ტურიზმი“; “მათემატიკა”; „ინფორმატიკა“; „ფილოსოფია“; “ჯანდაცვა და სოციალური კეთილდღეობა“; „ინჟინერია და საინჟინრო საქმე“ - შესაბამისი განათლების ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს;
- ✓ ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი შესაბამისი საერთაშორისო სერტიფიკატი, ან უნდა ჩააბაროს გამოცდა სტუ-ის საგამოცდო ცენტრში. აპლიკანტს, რომელსაც უმაღლესი განათლება მიღებული აქვს ინგლისურ ენაზე, სერტიფიკატის წარმოდგენა ან გამოცდის ჩაბარება არ მოეთხოვება;
- ✓ პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველმა უნდა წარმოადგინოს: კვლევითი პროექტი, სადაც გამოიკვეთება აპლიკანტის კვლევის მიზანი და მიმართულება. ინფორმაცია კვლევითი პროექტის გაფორმებისა და შეფასების კრიტერიუმის შესახებ ხელმისაწვდომია და საჯარო ფაკულტეტის ვებ-გვერდის დახმარებით;
- ✓ მხედველობაში მიიღება: სამეცნიერო პუბლიკაციების არსებობა, სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა, სასწავლო/კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტები და მასალები (სერტიფიკატები, სიგელები, პატენტები და ა.შ.);

აპლიკანტი ინგლისურ ენაში დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში გადის გასაუბრებას საფაკულტეტო დროებით კომისიასთან და კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების

საფუძველზე ფორმდება ოქმი, რომელიც წარედგინება სტუ-ს დოქტორანტურის დეპარტამენტს, რომელიც რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში ამზადებს ბრძანების პროექტს დოქტორანტურაში ჩარიცხვის შესახებ. დოქტორანტურაში მიღების წესი და ჩარიცხვის პირობები განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: https://gtu.ge/Science/Doctorate_Department.php

წარმოდგენილი მასალებითა და ინტერვიუების შედეგებით, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების შეფასებით, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომია; პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაზე სასწავლებლად ჩართვას. დაშვების წინაპირობები (ოთხივე პირობა ერთობლივად) უზრუნველყოფს პროგრამაზე შესაბამისი ცოდნითა და უნარებით აღჭურვილი აპლიკანტის ჩარიცხვას, რომელიც შეძლებს სადოქტორო პროგრამაზე სწავლის გაგრძელებას.

სტანდარტის აღნიშნულ ნაწილში კომისიის წევრების მიერ გამოითქვა გარკვეული მოსაზრებები, რომელიც უკავშირდება ინგლისური ენის B2 დონის ცოდნის დადასტურებას. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ უნივერსიტეტი დოქტორანტობის კანდიდატის მიერ წარმოდგენილი, ინგლისური ენის **B2 დონის** ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტების შესაბამისობის დადგენას ახორციელებს უცხო ენების დეპარტამენტთან კოორდინაციით, მაგრამ იგი წერილობით არ არის დადასტურებული. სასურველია, რომ **უცხო ენების დეპარტამენტმა, დოქტორანტობის კანდიდატის მიერ წარმოდგენილი ინგლისური ენის B2 დონის ცოდნის შესაბამისი დოკუმენტის შეფასება (დადასტურება) განახორციელოს წერილობით (დოკუმენტის შექმნით), ასევე, დაწესებულებამ განსაზღვროს რელევანტური სერთიფიკატების ან სხვა დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტების ჩამონათვალი**.

სტუ-ს დოქტორანტურის დებულების შესაბამისად, კომისია ახდენს გასაუბრებას კანდიდატთან და ამაზადებს თითოეული კანდიდატისთვის დასკვნითი შეფასების ოქმს. ინტერვიუების დროს პროგრამის ხელმძღვანელმა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელებმა განმარტა დოქტორანტობის კანდიდატთა შეფასების პროცედურა, რომელშიც გამოიკვეთა, რომ მნიშვნელოვანია კანდიდატის მიერ წარმოდგენილი კვლევითი პროექტის შეფასება (შეფასების კრიტერუმებია: საკვლევი თემის აქტუალურობა - 3 ქულა; კვლევის მიზანი და მიმართულება - 2 ქულა; თეორიული/პრაქტიკული ღირებულება - 1 ქულა; არგუმენტირებული მსჯელობა - 2 ქულა; კვლევითი პროექტის გაფორმება - 1 ქულა. მაქსიმალური შეფასებაა 10 ქულა, მინიმალური შეასება 5 ქულა), თუმცა, კომისია ახდენს კანდიდატებთან გასაუბრებასაც. ექსპერტთა ჯგუფს მაინც დარჩა უკმარისობის შეგრძნება დოქტორანტობის კანდიდატების გასაუბრების შეფასების კრიტერიუმებთან დაკავშირებით. გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, ექსპერტთა ჯგუფმა საჭიროდ მიიჩნია, რომ **დოქტორანტობის კანდიდატთა გასაუბრების შეფასება განხორციელდეს არამარტო კვლევითი პროექტის შეფასების კრიტერიუმებით, არამედ გასაუბრებაც შეფასდეს გაზომვადი კრიტერიუმით.**

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო პროგრამა „ეკონომიკა“;
- სადოქტორო პროგრამის „ეკონომიკა“ თვითშეფასების ანგარიში;
- საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 22 დეკემბრის №199/ნ ბრძანება;
- სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია (სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №2691, 27.12.2017);
- დოქტორანტურაში მიღების წესი და ჩარიცხვის პირობები, სტუ-ს უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: https://gtu.ge/Science/Doctorate_Department.php
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულება, მუხლი 7, https://gtu.ge/Science/PhD_pdf/doqtoranturis_debuleba_2021_1.PDF

- საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისა და მობილობის ინსტრუქცია http://gtu.ge/Study-Dep/Files/Pdf/studentta_kont_form_130219_SD.pdf
- ინტერვიუ ადმინისტრაციის, თვითშეფასების ჯგუფის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- უცხო ენების დეპარტამენტმა, დოქტორანტობის კანდიდატის მიერ წარმოდგენილი ინგლისური ენის B2 დონის ცოდნის შესაბამისი დოკუმენტის შეფასება (დადასტურება) განახორციელოს წერილობით (დოკუმენტის შექმნით), ასევე, დაწესებულებამ განსაზღვროს რელევანტური სერთიფიკატების ან სხვა დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტების ჩამონათვალი.
- დოქტორანტობის კანდიდატთა გასაუბრების შეფასება განხორციელდეს არამარტო კვლევითი პროექტის შეფასების კრიტერიუმებით, არამედ გასაუბრებაც შეფასდეს გაზომვადი კრიტერიუმებით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს

პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ეკონომიკის სადოქტორო პროგრამა შემუშავებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების წესის“ შესაბამისად. პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია შეესაბამება პროგრამაში არსებული კომპონენტების შინაარსობრივ მხარეს, პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს და დოქტორანტურის საფეხურის შესაბამის დონეს. პროგრამა შედგენილია ECTS ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემით. 1 კრედიტი მოიცავს 25 საათს, რომელშიც იგულისხმება როგორც საკონტაქტო, ასევე, დამოუკიდებელი მუშაობის საათები. კრედიტების განაწილება წარმოდგენილია პროგრამის სასწავლო გეგმაში. პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი (6 სემესტრი). პროგრამა შედგება სასწავლო (60 ECTS) და კვლევითი კომპონენტისაგან. **პროგრამის სასწავლო კომპონენტი** მოიცავს 6 სავალდებულო (55 ECTS) და 1 (5 ECTS) არჩევით სასწავლო კურსს. სავალდებულო კურსებია: „სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა“ (4 ECTS); „სწავლების მეთოდები“ (6 ECTS); „ინსტიტუციური ეკონომიკა“ (10 ECTS); „გადაწყვეტილებათა მიღების მოდელები ეკონომიკაში“ (10 ECTS); „ეკონომიკის მეცნიერების კვლევის მეთოდები“ (10 ECTS); „ეკონომიკური უსაფრთხოება“ (5 ECTS) და 5 არჩევით სასწავლო კურსს (5 ECTS): „კრეატიული ეკონომიკა“ (5 ECTS); „ღია ეკონომიკა“ (5 ECTS); „გლობალური ევილუციის თანამედროვე ეკონომიკური სინამდვილე“ (5 ECTS); „მეტაეკონომიკა“ (5 ECTS); „ეკონომეტრიკული ანალიზი“ (5 ECTS). დოქტორანტი წარმოდგენილი 5 არჩევითი სასწავლო კურსიდან სტუდენტი ირჩევს ერთ, მისთვის სასურველ სასწავლო კურსს (5 ECTS). სავალდებულო სასწავლო კურსები განაწილებულია სემესტრების შესაბამისად: პირველი სემესტრი მოიცავს სასწავლო კომპონენტების სამ სავალდებულო ელემენტს (4, 6 და 10 ECTS), პროგრამასთან დაკავშირებულ ერთ სპეცკურსს (10 ECTS); მეორე სემესტრი მოიცავს პროგრამასთან დაკავშირებულ ორ სპეცკურსს (10 და 5 ECTS), ერთ არჩევით სასწავლო კურსს (5 კრედიტი); მესამე სემესტრი ეთმობა პროფესორის ასისტენტობას (10 ECTS). **პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, აკადემიურ პერსონალთან, დამსაქმებლებთან ინტერვიუების დროს დადასტურდა, რომ პროგრამის სტრუქტურასა და შინაარსში განხორციელებულია გარკვეული ცვლილებები, კერძოდ, დაემატა 2 არჩევითი სასწავლო კურსი: „მეტაეკონომიკა“ და „ეკონომეტრიკული ანალიზი“; სასწავლო კურსების „ინსტუტუციური ეკონომიკის“ და „ღია ეკონომიკის“ სილაბუსები მოდიფიცირდა და მათი შინაარსი შეივსო მიკროეკონომიკისა და მაკროეკონომიკური თეორიის მნიშვნელოვანი თემატიკით; სასწავლო კურსს „ეკონომიკური მეცნიერების კვლევის მეთოდებს“ დაემატა თვისობრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდები; სასწავლო კურსის სილაბუსებში „ინსტიტუციური ეკონომიკა“, „ეკონომიკური უსაფრთხოება“ , „ღია ეკონომიკა“ და „მეტეკონომიკა“დამატებულია სემინარები, შესაბამისად, დაკორექტირდა აღნიშნული სასწვლო კურსების კოდები.** **პროგრამის კვლევითი კომპონენტის** სავალდებულო ელემენტებია: პროექტი/პროსპექტუსი; კოლოკვიუმი - 1; კოლოკვიუმი - 2; კოლოკვიუმი- 3; დისერტაციის წინასწარი დაცვა; დისერტაციის დასრულება და დაცვა. აღნიშნული კომპონენტები განაწილებულია სემესტრების შესაბამისად. დოქტორანტი მეორე სემესტრიდან იწყებს კვლევითი კომპონენტების - პროექტი/პროსპექტუსის მომზადებას; მესამე სემესტრში - კოლოკვიუმი 1; მეოთხე სემესტრში - კოლოკვიუმი 2; მეხუთე სემესტრში - კოლოკვიუმი 3. კოლოქვიუმების ჩაბარება ხდება დარგის სპეციალისტებით შექმნილ სპეციალურ კომისიის წინაშე. კოლოქმიუმის შეფასება არ გამოისახება ქულით და იწერება მხოლოდ ,,ჩააბარა“. კოლოქვუმი -1 არის კოლოქვიუმი-2-ის, ხოლო კოლოქვიუმი 2 კი - კოლოქვიუმი - 3 -ის პრერეკვიზიტი. ერთ, რომელიმე კოლოქვიუმში შეფასების „ვერ ჩააბარა“ მიღების შემთხვევაში დოქტორანტი არ დაიშვება მომდევნო კოლოქვიუმზე და შესაბამისად, წინასწარ დაცვაზე. სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი ფასდება ერთჯერადად, დისერტაციის დაცვის დროს.

პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამაში შემავალი სასწავლო-კვლევითი კომპონენტები თანამიმდევრულად და ლოგიკურად არის დალაგებული, დაშვების წინაპირობები ადეკვატურია. პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგემილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის შესაბამისად. პროგრამა ხელმისაწვდომია და საჯარო ყველა დაინტერესებული პირისთვის და განთავსებულია ფაკულტეტის ვებ-გვერდზე: http://social.gtu.ge/uploads/files/edu_programs/doc/ekonomika_doc_geo.pdf **აღნიშნული სტანდარტის ანალიზის დროს ექსპერტთა ჯგუფმა საჭიროდ მიიჩნია გარკვეული რჩევების მიცემა, კერძოდ, სასწავლო კურსებს „გადაწყვეტილების მიღების მოდელები ეკონომიკაში“ და „ეკონომიკური უსაფრთხოება“, მათი შინაარსისა და შესასწავლი მასალიდან გამომდინარე, შესაძებელია მოეხსნას წინაპირობა. აღნიშნული შესაძლებლობას მისცემს დოქტორანტს უფრო მოქნილად (მობილურად), მინიმალურად დროის დანაკარგით, მოახდინოს სასწავლო კურსების არჩევა სემესტრების შესაბამისად.**
მტკიცებულებები/ინდიკატორები o სადოქტორო პროგრამა „ეკონომიკა“; o სადოქტორო პროგრამის „ეკონომიკა“ თვითშეფასების ანგარიში; o სასწავლო კურსის სილაბუსები; o საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო და კვლევითი კომპონენტები და მათი შეფასების წესი“ https://gtu.ge/Science/PhD_pdf/danarTi_3_Sefasebis_wesi_2021_modificirebuli.PDF o საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულება, მუხლი 7, https://gtu.ge/Science/PhD_pdf/doqtoranturis_debuleba_2021_1.PDF o დამსაქმებლის გამოკითხვის შედეგები (დანართი №14, დანართი №8); o სტუ-ს საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოსა და საინჟინრო ეკონომიკის დეპარტამენისა სხდომის ოქმები (დანართი №8); o სტუ-ის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ვებ-გვერდი: http://social.gtu.ge/uploads/files/edu_programs/doc/ekonomika_doc_geo.pdf o საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი, სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 23 სექტემბრის №01-05-04/261 დადგენილების დანართი https://gtu.ge/quality/Regulation-Documents/Technical-University.php o ინტერვიუ ადმინისტრაციის, თვითშეფასების ჯგუფის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ➢ სასწავლო კურსებს „გადაწყვეტილების მიღების მოდელები ეკონომიკაში“ და „ეკონომიკური უსაფრთხოება“, მათი შინაარსისა და შესასწავლი მასალიდან გამომდინარე, მოეხსნას წინაპირობა. აღნიშნული შესაძლებლობას მისცემს დოქტორანტებს უფრო მოქნილად

(მობილურად) მოახდინოს სასწავლო კურსების არჩევა სემესტრების შესაბამისად.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- o

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაში წარმოდგენილი სასწავლო კურსების შინაარსი, საკონტაქტო, დამოუკიდებელი მუშაობის საათები და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. სასწავლო კურსების სპეციფიკიდან გამომდინარე, საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია. სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია ეკონომიკის აქტუალურ თემებზე, რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო კურსებში წარმოდგენილია სწავლა-სწავლების სხვადასხვა მეთოდები, რომლებიც შეესაბამება კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსების სწავლის შედეგები გამომდინარეობს კურსის მიზნიდან და შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან. თითოეული სასწავლო კურსი და სწავლის შედეგები შეესაბამება უმაღლესი განათლების მერვე საფეხურს, დოქტორანტურის დონეს.

პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუების დროს დადასტურდა, რომ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი პერმანენტულად ახორციელებს სალექციო თემატიკის გამდიდრებას დარგის უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული სასწავლო მასალებით, კერძოდ, უახლესი ლიტერატურით, სამეცნიერო სტატიებით, მონოგრაფიებით, კვლევებით, უცხოენოვანი სასწავლო მასალით და სხვა წყაროებით. ამდენად, სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს.

სტუ-ს ბიბლიოთეკასთან განხორციელებული ვიდეო კავშირის საშუალებით, კომისიის წევრებს შესაძლებლობა მიეცა ენახათ (შერჩევით) სასწავლო კურსის სილაბუსებში მითითებული სასწავლო ლიტერატურაზე წვდომის შესაძლებლობა. ამდენად, ლიტერატურა, რომელიც მოცემულია სილაბუსებში ხელმისაწვდომია სტუ-ის ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდის, სამეცნიერო ბაზების და ელექტრონული კატალოგების საშუალებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო პროგრამა „ეკონომიკა“;
- სადოქტორო პროგრამის „ეკონომიკა“ თვითშეფასების ანგარიში;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- სტუ-ს ცენტრალური ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი http://gtu.ge/Library/Databases/
- გამოკითხვის შედეგები (დანართი №14);
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შდეგების რუკა, პროგრამის სწავლის შედეგი, სამიზნე ნიშნულები პროგრამის თითოეული სწავლის შედეგისთვის (დანართი №4);
- ინტერვიუ ადმინისტრაციის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, პროგრამისა და დოქტორანტების ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან, ბიბლიოთეკის წარმომადგენლებთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა სწავლის შედეგებისა და საფეხურის შესაბამისად, უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარების გამომუშავებას. პროგრამაში წარმოდგენილი სასწავლო კურსი **პროფესორის ასისტენტობა შინაარსობრივად უზრუნველყოფს პედაგოგიური საქმიანობის კუთხით პრაქტიკული უნარების განვითარებას.**

დოქტორანტი აქტიურად არის ჩართული სამეცნიერო კვლევით საქმიანობაში: ამზადებს სამეცნიერო სტატიებს და აქვეყნებს სამეცნიერო ჟურნალში, რომელიც შედის უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ ნუსხაში. დოტორანტებს აქვს შესაძლებლობა გამოაქვეყნოს სამეცნიერო სტატიები უნივერსიტეტში არსებული სამეცნიერო ჟურნალში - „ბიზნეს ინჟინერინგი“, ასევე, საერთაშორისო აღიარებულ რეფერირებადი და რეცენზირებული ჟურნალებში „ეკონომიკა“, „ბიზნესი და ეკონომიკა“, ფაკულტეტის მიერ ორგანიზებულ და სხვა საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენციების შრომათა კრებულებში.

დოქტორანტს, სადისერტაციო ნაშრომის დაცვაზე დაშვებამდე გამოქვეყნებული უნდა ქონდეს სამი სამეცნიერო სტატია, თუმცა, **სავალდებულო არ არის გამოაქვეყნოს შრომები მაღალრეიტინგულ ჟურნალში ან კონფერენციათა მასალების კრებულში.** უნივერსიტეტში მოქმედი დოქტორანტურის დებულების თანახმად, დოქტორანტს წარდგენილი უნდა ჰქონდეს მოხსენება სამეცნიერო კონფერენციაზე: „...დოქტორანტი ვალდებულია ნაშრომის სადისერტაციო საბჭოში წარდგენამდე, წარმოადგინოს სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული კვლევის ძირითადი შედეგების ამსახველი და დოქტორანტის სწავლის პერიოდში, დადგენილი წესის შესაბამისად გამოქვეყნებული ნაშრომები (სულ მცირე სამი სამეცნიერო სტატია, რომელთაგან ერთი მაინც უნდა იყოს თანაავტორების გარეშე). ერთ-ერთი **ნაშრომი შეიძლება ჩაითვალოს იმ შემთხვევაში,** თუ იგი გადაცემულია უცხოურ მაღალრეიტინგულ, რეცენზირებად/რეფერირებად გამოცემაში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიღებულია დადებითი დასკვნა და წარმოდგენილია შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია; აგრეთვე, სამეცნიერო კონფერენციების, სემინარების, ფორუმების, კონგრესების, სიმპოზიუმების მასალები (მინიმუმ ერთი მოხსენება)...“

უნივერსიტეტში არსებობს სტუდენტთა ინფორმირების ელექტრონული სერვისები, რომელიც სტუდენტს უზრუნველყოფს დროულად გაეცნოს შეფასების შედეგებს. შესაძლებლობა აქვს მიიღოს ინფორმაცია სტუ-ში მიმდინარე პროცესებისა და სიახლეების შესახებ (კონფერენციის ჩატარების დრო და ადგილი, საგრანტო კონკურსის პირობები და ვადები, და სხვა მათთვის საჭირო ინფორმაცია).

დოქტორანტები კმაყოფილებას გამოხატავდნენ უნივერსიტეტისა და პროგარმაში ჩართული პერსონალის მიმართ, კერძოდ, დოქტორანტები იღებენ თავისი პროფილის განსაზღვრის, სასწავლო

პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად აუცილებელ ინფორმაციას, კონსულტაციასა და დახმარებას სტუ-ს ადმინისტრაციის წარმომადგენლების, დეპარტამენტის აკადემიური პერსონალისა და დისერტაციის სამეცნიერო ხელმძღვანელისაგან. პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი კურირებას უწევს სტუდენტების სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობას და პუბლიკაციების მომზადებას მაღალ რეიტინგულ ჟურნალებში გამოსაცემად.

არსებული საგანმანათლებლო პროგრამის **კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ ისინი აქტიურად იყვნენ ჩართულები საგრანტო პროექტებსა და სხვადასხვა კვლევებში. მათ აღნიშნეს, რომ უნივერსიტეტი გამოხატავდა მზადყოფნას, ფინანსურად ხელი შეეწყო დოქტორანტების სამეცნიერო-კვლევით საქმიანობისთვის.**

ადმინიატრაციასთან და ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ უნივერსიტეტს უკვე მომზადებული აქვს პროექტი, სადაც დეტალურად არის წარმოდგენილი უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგია და მათ შორის, სამეცნიერო-კვლევითი პროცესების განვითარების მიმართულებით პრიორიტეტები. ინტერვიუებით დადგინდა, რომ აღნიშნულ პროექტს უახლოეს პერიოდში განიხილავს და დაამტიცებს სტუ-ს აკადემიური საბჭო. უნივერსიტეტში შექმნილია საგრანტო ოფისი, რომელის მუშაობაშიც სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულები.

დოქტორანტთა კვლევის შედეგების დონის ამაღლების, საერთაშორისო აკადემიურ წრეებში აღიარებისა და დაწესებულების ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების მიზნით, ღნიშნული ქვესტანდარტში ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა **კონკრეტული რჩევა, კერძოდ, სასურველია, დოქტორანტის მიერ შესრულებული სამი პუბლიკაციიდან ერთი მაინც იყოს გამოქვეყნებული მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალში ან საკონფერენციო მასალათა კრებულში, რომელიც ინდექსირებულია Scopus-ში ან Web of Science-ში.**

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო პროგრამა „ეკონომიკა“;
- სადოქტორო პროგრამის „ეკონომიკა“ თვითშეფასების ანგარიში;
- სასწავლო კურსის სილაბუსები, სილაბუსი პროფესორის ასისტენტობა;
- სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები;
- დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტები https://gtu.ge/Learning/doq_debuleba.php
- ჟურნალი ბიზნეს ინჟინერინგი https://business-engineering.bpengi.com/
- გამოკითხვის შედეგები; (დანართი №14);
- წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომები;
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან, დოქტორანტების ხელმძღვანელებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, აკადემიურ პერსონალთან;
- სტუ-ს და ფაკულტეტის ვებ-გვერდი: https://gtu.ge/; http://social.gtu.ge/?lang=ge.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- **დოქტორანტის მიერ შესრულებული სამი პუბლიკაციიდან ერთი მაინც გამოქვეყნდეს ისეთ ჟურნალში ან საკონფერენციო მასალათა კრებულში, რომელიც ინდექსირებულია Scopus-ში ან Web of Science-ში. აღნიშნული გაზრდის დოქტორანტთა კვლევის შედეგების დონეს, ხელს შეუწყობს საერთაშორისო აკადემიურ წრეებში აღიარებასა და უნივერსიტეტის**

ინტერნაციონალიზაციის გაძლიერებას.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის ფარგლებში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები და აქტივობები უზრუნველყოფენ პროგრამით დადგენილი ცოდნისა და უნარების მიღწევას, სტუდენტისთვის შესაბამისი კომპეტენციების განვითარებას.

პროგრამით შეთავაზებული სასწავლო კურსების სილაბუსებში წარმოდგენილი თითოეული სალექციო თემა დაყოფილია თეორიულ და პრაქტიკული ნაწილად. დოქტორანტებთან მუშაობა ორიენტირებულია ლექცია-სემინარებზე მიწოდებული მასალის გააზრებასა და სიღრმისეულ ანალიზზე.

პროგრამისთვის, სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, შერჩეულია სფეროსთვის/სწავლების საფეხურისთვის შესაბამისი სწავლების მეთოდები და აქტივობები, რომელიც ასახულია შესაბამის სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში): ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი, დისკუსია/დებატები, ჯგუფური (collaborative) მუშაობა, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), დემონსტრირება, შემთხვევების შესწავლა (Case study), გონებრივი იერიში (Brain storming), ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი, სინთეზი, წერითი მუშაობა, ახსნა-განმარტება, პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, პრობლემის/საკითხის განსაზღვრა შემოქმედებითი კუთხით.

პროგრამის თითეულის სასწავლო კურსის სწავლების მეთოდები შეესაბამება უმაღლესი

განათლების შესაბამის საფეხურს, კურსის შინაარსს და უზრუნველყობს სწავლის შედეგების მიღწევას. თითოეული დოქტორანტისთვის დგება პერსონალური სამუშაო გეგმა, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს. **დაწესებულება იყენებს სტუდენტების გამოკითხვის მეთოდს ლექტორის მიერ გამოყენებული სწავლა-სწავლების მეთოდების ადექვატურობის დასადგენად. აღნიშნული კითხვარი საშუალებას აძლევს დოქტორანტს, შეაფასოს, თუ რამდენად იყენებდა პედაგოგი სწავლების თანამედროვე მეთოდებს და ტექნოლოგიებს, იღებდა თუ არა პედაგოგისაგან კონსულტაციებს და უკუკავშირს, რამდენად მიაღწია სტუდენტმა სასწავლო კურსით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს ლექტორის მიერ გამოყენებული სწავლა-სწავლების მეთოდების საშუალებით და სხვ.**
მტკიცებულებები/ინდიკატორები o სადოქტორო პროგრამა „ეკონომიკა“; o სადოქტორო პროგრამის „ეკონომიკა“ თვითშეფასების ანგარიში; o სასწავლო კურსის სილაბუსები; o სწავლება-სწავლის მეთოდები და შესაბამისი აქტივობები http://gtu.ge/quality/Files/Pdf/scavlebis%20metodebi%20da%20aqtivobebi.pdf o დოქტორანტის პერსონალური სამუშაო გეგმა http://gtu.ge/Learning/pdf/doqtoranturis_danarti_1_2018_1.pdf; o საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულება https://gtu.ge/Learning/doq_debuleba.php o ლექცია-სემიანრების კომისიის მიერ შეფასების კითხვარი; o სტუდენტთა მიერ სასწავლო კურსისა და ლექტორის შეფასების კითხვარი; o გამოკითხვის შედეგები (დანართი №14); o ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, დოქტორანტების ხელმძღვანელებთან, დოქტორანტებთან, კურსდამთავრებულებთა, აკადემიურ პერსონალთან.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამას განსაზღვრული აქვს სტუდენტის სწავლის შედეგების (მიღწევების) შეფასების მექანიზმი. სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად, გამჭვირვალედ, წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით, სამართლიანია და შესაბამისია კანონმდებლობასთან. სტუ ხელმძღვანელობს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული (ECTS) სისტემით, ,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონით და „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების“ დამტკიცებული წესით (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №3; 2007.05.01) შეფასების 100 ბალიანი სისტემით, რომელიც ითვალისწინებს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს.

საგანმანათლებლო **პროგრამის სასწავლო კომპონენტების** ცოდნის შეფასების სისტემა გაწერილია საგანმანათლებლო სასწავლო კურსის სილაბუსებში, სადაც მოცემულია ცოდნის შეფასების ფორმები, მეთოდები და კრიტერიუმები. თითოეული სასწავლო კურსის შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები წინასწარ არის ცნობილი სტუდენტებისათვის. პროგრამაში არსებული ყველა სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას და შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალე და ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის, ასევე, უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების შესახებ, რაც სტუდენტმა შეიძლება გამოიყენოს ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად ან მიღწეული შედეგების გასაუმჯობესებლად.

შეფასების სისტემა ითვალისწინებს ხუთი სახის დადებით და ორი სახის უარყოფით შეფასებას: ა) (A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა; ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა. ორი სახის უარყოფით შეფასებას: ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სსწავლო კურსი ახლიდან აქვს შესასწავლი. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, უარყოფითი შეფასების (FX) მიღების შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება. დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლებას სტუდენტი იღებს იმ შემთხვევაშიც,

თუ მან დააგროვა საბოლოო შეფასების 51 ქულა ან მეტი, მაგრამ ვერ გადალახა დასკვნითი გამოცდისთვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი (21 ქულა). დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი/კომპონენტების შეფასება შემდეგი კრიტერიუმებით: ა) ფრიადი (summa cum laude) - შესანიშნავი ნაშრომი; ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება; გ) კარგი (cum laude) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება; დ) საშუალო (bene) - საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს; ე) დამაკმაყოფილებელი (rite) - შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს; ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) - არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო; ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო და კვლევითი კომპონენტები და მათი შეფასების წესი განთავსებულია სტუ-ს ვებ-გვერდზე:: https://gtu.ge/Science/PhD_pdf/danarTi_3_Sefasebis_wesi_2021_modificirebuli.PDF

სამეცნიერო ხელმძღვანელი ახდენს დოქტორანტის პერიოდულ შეფასებას. სადისერტაციო ნაშრომის დაცვა ხდება სტუ-ში არსებული სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის პროცედურების თანახმად შესაბამისი კომისიის მიერ. სადისეტაციო ნაშრომის შეფასება უზრუნველყოფილია გარე შემფასებლის მონაწილეობით. ნაშრომის დაცვა არის საჯარო. საჭიროების შემთხვევაში, სტუდენტს აქვს შეფასების შედეგების გასაჩივრების შესაძლებლობა. სტუდენტებს საშუალება აქვთ ცოდნის შეფასების მექანიზმების შესახებ ინფორმაცია მიიღონ საგანმანათლებლო პროგრამიდან, სილაბუსებიდან, კონკრეტული საგნის პერსონალის ან პროგრამის ხელმძღვანელისაგან ან დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელიდან. უკუკავშირი უზრუნველყოფილია სტუდენტების გამოკითხვის შედეგების ანალიზით. მიღებული შეფასებების გაცნობის საშუალება სტუდენტებს აქვთ სტუ-ის ვებ-გვერდზე არსებულ სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის სისტემის მეშვეობით. შეფასების კრიტერიუმების წინასწარი ცოდნა, აგრეთვე, ინფორმაცია შეფასებების შესახებ აძლევს მათ საშუალებას გაითვალისწინონ საკუთარი ხარვეზები და იზრუნონ მის გამოსწორებაზე. სწავლის შედეგების შეფასების გასაჩივრებისა და საპატიო მიზეზით გაცდენილი შეფასების/გამოცდის აღდგენის წესები ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციის საშუალებით. შეფასების შედეგების ანალიზის შემდგომ შესაძლებელია ცვლილებების განხორციელება სწავლების პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

დოქტორანტის მიერ მომზადებული სადისერტაციო ნაშრომი მოწმდება **პლაგიატზე** უნივერსიტეტში მოქმედი პლაგიატზე შემოწმების წესის შესაბამისად.

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შეფასების განახლებულ წესში გაწერილია, თუ რას მოიცავს კვლევითი პროექტი/პროსპექტუსი, კოლოქვიუმი, დისერტაციის წინასწარი დაცვა, დისერტაციის საჯარო დაცვა. აღნიშნულ წესში წარმოდგენილია სადისერტაციო ნაშრომის შეფასების დეტალური კრიტერიუმები, შეფასების ბიულეტენის ფორმა და დისერტაციის ხმის დამთვლელი კომისიის სხდომის ოქმის ნიმუში.

დოქტორანტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუებისა და წარმოდეგნილ დოკუმენტებში გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტების შეფასება სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი და გამჭირვალეა, ასევე, სტუდენტები დროულად ღებულობენ ინფორმაციას შეფასებების შესახებ, საჭიროების შემთხვევაში სწრაფია რეაგირება პედაგოგისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციის მხრიდან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო პროგრამა „ეკონომიკა“;
- სადოქტორო პროგრამის „ეკონომიკა“ თვითშეფასების ანგარიში;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო და კვლევითი კომპონენტები და მათი შეფასების წესი (2020 წლიდან მოდიფიცირებული/დამტკიცებული სადოქტორო პროგრამებისათვის); https://gtu.ge/Science/PhD_pdf/danarTi_3_Sefasebis_wesi_2021_modificirebuli.PDF
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულება https://gtu.ge/Learning/doq_debuleba.php
- საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია https://gtu.ge/Study-Dep/Files/Pdf/sasw_proc_%20mart_inst_20.08.2021_SD.pdf
- გამოკითხვის შედეგები (დანართი №14) ;
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან, დოქტორანტების ხელმძღვანელებთან, დოქტორანტებთან, კურსდამთავრებულებთა, აკადემიურ პერსონალთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტი იღებს ინფორმაციას, კონსულტაციას დ დახმარებას თავისი პროფილის, კარიერული განვითარების განსაზღვრის, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად, როგორც ადმინისტრაციული, ისე აკადემიური პერსონალისგან. უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდნტების ინფორმრებისთვის ახალი ელექტრონული ბაზა, (https://vici.gtu.ge/), რომელიც სრულყოფილად ასახავს სტუდენტის ყველა სახის მონაცემებს, კერძოდ, პირადი ინფორმაციას (მეილი, პირადი ნომერი და ა.შ) GPI, სასწავლო აქტივობებზე ინფორმაციას, აქვე შეუძლია ნახოს კურიკულუმი და პროგრამის სილაბუსები. აღნიშნული ბაზა სტუდენტს საშუალებას აძლევს ისარგებლოს ელექტრონული სასწავლო სისტემით პლატფორმით: https://elearning.gtu.ge/, სადაც განთავსებულია ინფორმაცია ცხრილების შესახებ, სტუდენტს შეუძლია მიიღოს შეტყობინება ლექტორისაგან ან ადმინისტრაციისგან, აკონტროლოს პირადი ფინანსურ მდგომარეობა, მიიღოს მონაწილეობა სტუდენტურ გამოკითხვებში, იხილოს შეფასებები და მიიღოს სხვა მომსახურება. **სტუდენტებთან და კურსდამთავსებულებთან ინტერვიუებით დადგინდა, რომ ისინი კმაყოფილებას გამოთქვამენ აღნიშნული მომსახურებით, შეფასებებისა და მათთვის საინტერესო საკითხების შესახებ ინფორმაციის დროული მიღებისთვის.** სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულები პროგრამის შემუშავების პროცესში. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი კარგად იცნობენ როგორც ძველ, ასევე ახალ სასწავლო პროგრამას და კმაყოფილებას გამოთქვამენ პროგრამაში განხორციელებული ცვლილებებით. აღსანიშნავია, რომ სტუდენტების სურვულით ცვლილება განხორციელდა სასწავლო კურსში „ინსტიტუციური ეკონომიკა“ და სილაბუსში განისაზღვრა სემინარული საათები. ექსპერტებს გვქონდა საშუალება, რომ გავცნობოდით ძველი პროგრამის კურსდამთავრებულებს. ობიექტურობისათვის, უნდა აღინიშნოს, რომ კარგად იცნობდნენ პროგრამას და მის ფარლებში განხორციელებულ ცვლილებას. ისინი კმაყოფილებას გამოთქვამდნენ სასწავლო პროცესის წარმართვის, ადმინისტრაციის,

აკადემიური პერსონალისა და მეცნიერ-ხელმძღვანელების მომსახურებით, კერძოდ, მუდმივი კომუნიკაციის, კოსულტაციების და სხვა მათთვის მნიშვნელოვანი სასწავლო, თუ სამეცნიერო კვლევების მიმართულებით დაწეული დახმარებისთვის.

სტუდენტები მუდმივად ღებულობენ ინფორმაციას კვლევით პროექტებთან, საერთაშორისო და ადგილობრივი სამეცნიერო კონფერენციების შესახებ. ინტერვიუების დროს ერთ-ერთმა დოქტორანტმა აღნიშნა, რომ მის მიერ მომზადდა კვლევით პროექტი რუსთაველის ფონდში წარსადგენად, რომელიც ვერ დაფინანსდა, თუმცა, მისთვის ეს იყო დიდი გამოცდილება, რომელიც მან გამოიყენა სადისერტაციო ნაშრომის მომზადების დროს. დოქტორანტები აქტიურად ღებულობენ მონაწილეობას კონფერენციებში, სემინარებსა და სხვა აქტივობებში.

დოქტორანტები პერმანენტულად იღებენ ინფორმაციას საერთაშორისო გაცვლით პროგრამებთან დაკავშირებით, კერძოდ, ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ვებ-გვერდზე ERASMUS+ პროგრამის ფარგლებში და სხვა, თუმცა, პირადი მიზეზების გამო (მაგალითად, დატვირთული სამუშაო განრიგი, ოჯახური მდგომარეობა) მათ არ უსარგებლიათ აღნიშნული მობილობით.

უნივერსიტეტს აქვს ბიბლიოთეკა, რომელიც მდიდარია წიგნების ფონდით და სხვადასხვა სახის სამეცნიერო ლიტრატურით, ასევე, ტექნიკური აღჭურვილობით. ინტერვიუების დროს დადგინდა, რომ სტუდენტები აქტიურად იყენებენ საერთაშორისო ელექტრონულ ბაზებს, რომელზედაც წვდომა მათ სახლიდანაც გააჩნიათ. აღნიშნული სისტემა საკმაოდ დახვეწილად მუშაობს უნივერსიტეტში. ვიზიტის დროს, ექსპერტებმა ვიდეო ჩართვის საშუალებითა და ბიბლიოთეკის თანამშრომლების მონაწილეობით მოახდინეს სილაბუსების შესაბამისად შერჩეული რამდენიმე სავალდებულო ლიტერატურის ძიება.

ამდენად, პროგრამის განმახორციელებლები და აკადემიური პერსონალი კვალიფიციურია, ისინი მაქსიმალურად ცდილობენ განავითარონ პროგრამა, დაეხმარონ სტუდენტებს, გაზარდონ მათი ჩართულობა სამეცნიერო-კვლევით პროექტებსა და კონფერენციებში მონაწილოების და სხვა მიმართულებით. მიუხედავად აღნიშნულისა, **ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ უნივერსიტეტმა გაზარდოს ფინანსური მხარდაჭერა, რათა უფრო აქტიური გახდეს სტუდენტების სამეცნიერო-კვლევით პროექტებში, საერთაშორისო კონფერენციებში, ფორუმებში, საერთაშორისო მობილობებში და სხვა მსგავს პროექტებში მათი მონაწილეობა. აღნიშნული გაზრდის დოქორანტების კვლევების შედეგების საერთაშორისო ცნობადობას და აამაღლებს ინტერნაციონალიზაციის დონეს.** ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ უნივერსიტეტი ამ მიმართულებით მუშაობს აქტიურად და მათ, უკვე, განხილვისთვის მომზადებული აქვთ პროექტი, რომელშიც ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა მნიშვნელოვან ადგილს იკავებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო პროგრამა „ეკონომიკა“;
- სადოქტორო პროგრამის „ეკონომიკა“ თვითშეფასების ანგარიში;
- გამოკითხვის შედეგები (დანართი №14);
- ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, დოქტორანტების ხელმძღვანელებთან, დოქტორანტებთან, კურსდამთავრებულებთან, აკადემიურ პერსონალთან, ბიბლიოთეკის წარმომადგენლებთან.
- სტუ-ს და ფაკულტეტის ვებ-გვერდი: https://gtu.ge/; http://social.gtu.ge/?lang=ge.

რეკომენდაციები:

შეუქმნან მოტივაცია სტუდენტებს აქტიური მონაწილეობა მიიღოს წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- უნივერსიტეტმა გაზარდოს ფინანსური მხარდაჭერა, რათა უფრო აქტიური გახდეს სტუდენტების სამეცნიერო-კვლევით პროექტებში, საერთაშორისო კონფერენციებში, ფორუმებში, საერთაშორისო მობილობებში და სხვა მსგავს პროექტებში მათი მონაწილეობა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დოქტორანტების ხელმძღვანელები არიან მაღალკვალიფიციური აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომელთაც გააჩნიათ დარგში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის დიდი გამოცდილება. აღნიშნული დასტურდება მათი საქმიანობის ამსახველი დოკუმენტაციით. დოქტორანტს სამეცნიერო ხელმძღვანელი ენიშნება სამეცნიერო კვლევითი თემატიკის შესაბამისად. დოქტორანტურის დებულების თანახმად, სწავლის დაწყებიდან ერთ თვეში, აკადემიური დეპარტამენტის უფროსის შუამდგომლობით, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე დოქტორანტურის დეპარტამენტში წარადგენს დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელების კანდიდატურებს. აღნიშნული წარდგინების საფუძველზე დოქტორანტურის დეპარტამენტი ამზადებს ბრძანების პროექტს თითოეული დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების დამტკიცების შესახებ. სადისერტაციო საბჭომ, აკადემიური დეპარტამენტის ხელმძღვანელის შუამდგომლობით, დოქტორანტს შეიძლება დაუმტკიცოს ორი ხელმძღვანელი (თანახელმძღვანელები).

დოქტორანტურის ხელმძღვანელის უფლებები გაწერილია, დოქტორანტურის დებულებაში. სამეცნიერო ხელმძღვანელის ფუნქციებში შედის რეგულარული კონსულტაციები დოქტორანტებთან, რაც მოიცავს სამეცნიერო რჩევების მიცემას, დახმარებას, დოქტორანტის პერიოდულ შეფასებას, ხელშეწყობას საკვალიფიკაციო ნაშრომის წერის პროცესში, დახმარებას

სამეცნიერო ქსელში ინტეგრირების და სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობის პროცესში და სხვა. ხელმძღვანელთან დოქტორანტისათვის განკუთვნილი კონსულტაციების დრო და ადგილი განთავსებულია შესაბამის დეპარტამენტებში. კონსულტაციების სიხშირე დამოკიდებულია საკვლევი თემის სპეციფიკასა და დოქტორანტის საჭიროებებზე. **ინტერვიუების დროს სტუდენტები კმაყოფილებას გამოთქვამენ სადისერტაციო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელების მიმართ და აღნიშნავენ,** რომ კონსულტაციები ხდება არამარტო განრიგის შესაბამისად, არამედ საჭიროებიდან გამომდინარე. დოქტორანტებს ხელმძღვანელები ეხმარებიან მათ არა მხოლოდ სადისერტაციო მიმართულებით, არამედ, უწევდნენ კონსულტაციებს და დახმარებებს კონფერენციების, ფორუმების, სიმპოზიუმების და სხვა მასალების მომზადების ფარგლებშიც.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o სადოქტორო პროგრამა „ეკონომიკა“; o სადოქტორო პროგრამის „ეკონომიკა“ თვითშეფასების ანგარიში; o საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულება, დამტკიცებულია სტუ-საკადემიური საბჭოს 2018 წლის 9 მარტის No01-05-04/44 დადგენილება; o დოტქორანტის პერსონალური სამუშაო გეგმა; o გამოკითხვის შედეგები (დანართი №14); o ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელთან, დოქტორანტების ხელმძღვანელებთან, დოქტორანტებთან, კურსდამთავრებულებთან, აკადემიურ პერსონალთან; o სტუ-ს და ფაკულტეტის ვებ-გვერდი: https://gtu.ge/; http://social.gtu.ge/?lang=ge.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამას ახორციელებს 20 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი. აკადემიური პერსონალიდან 10 პროფესორია, 4 ასოცირებული პროფესორი და 6 მოწვეული პროფესორი (მათ შორის 1 საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ი. ჟორდანიას სახელობის საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი). პროგრამის განმახორციელებელი ყველა აკადემიური პერსონალი აფილირებულია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან შესაბამისი ხელშეკრულებით. პროგრამაში ჩართული აკადემიური, მოწვეული და სამეცნიერო პერსონალიდან 18 არის დოქტორანტის სამეცნიერო

ხელმძღვანელი.

ხელმძღვანელებისა და დოქტორანტების თანაფარდობა (18/61) და აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით (20/61), ასევე თანაფარდობა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის (14/6) უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

აკადემიური პერსონალი შერჩეულია ღია კონკურსის წესით, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების მოთხოვნების სრული დაცვით. აკადემიური თანამდებობის დაკავება გამჭვირვალეა და შეესაბამება თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს. კონკურსს ნიშნავს და აცხადებს აკადემიური საბჭო. უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს ირჩევს საკონკურსო კომისია.

პერსონალის ვალდებულებები და უფლება-მოვალეობები განსაზღვრულია მათთან გაფორმებულ ხელშეკრულებებით. პროგრამას აქვს განმახორციელებელი პერსონალის სემესტრულად განახლებადი დატვირთვის სქემა, რომელიც მოიცავს შესაბამის დატვირთვას მათზე დაკისრებული მოვალეობიდან გამომდინარე. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი ჩართულია პროგრამის განვითარების პროცესში, ატარებს კონსულტაციებს. როგორც უკვე აღინიშნა, კონსულტაციის დრო და თარიღი გამოკრულია შესაბამის დეპარტამენტში, განთავსებულია ვებ–გვერდზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის.

პროგრამის ხელმძღვანელს, აკადემიურ, მოწვეულ და სამეცნიერო პერსონალს აქვს პროგრამის შემუშავებისა და განხორციელებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, რაც დასტურდება მათი პირადი საქმეებით, მათთან ინტერვიუს შედეგებით და მათი სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლებით ბოლო 5 წლის განმავლობაში. ისინი მონაწილეობდნენ პროგრამის შემუშავებაში, პროგრამის შეფასება-განვითარებასა და განხორციელებაში.

პროგრამაში ჩართული პირთა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში) [1]	553
ადგილობრივ ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომები საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომები	317 42
ადგილობრივ კონფერენციებში გაკეთებული მოხსენებები	27
საერთაშორისო კონფერენციებში გაკეთებული მოხსენებები	105
სხვა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები	17 მონოგრაფია 10 სახელმძღვანელო 12 სალექციო კურსი 7 სამეცნიერო კვლევითი პროექტი 10 წიგნის რედაქტორობა 6 უცხოური ჟურნალის რედკოლეგიის წევრობა

ზოგადად, პროგრამაში ჩართული პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები არის მათი სამეცნიერო პროდუქტიულობის, სათანადო ცოდნისა და გამოცდილების ინდიკატორი. **უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულების მიერ პერსონალთან გაფორმებულ საკონტრაქტო ვალდებულებებში სხვა ვალდებულებებთან ერთად განსაზღვრულია, პერსონალს მინიმუმ რამდენი პუბლიკაცია და რა ვადებში უნდა ჰქონდეთ გამოქვეყნებული (არანაკლებ ერთი სტატია წელიწადში რეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალში). ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ** პერსონალისთვის წაყენებულ მოთხოვნებში აისახოს Scopus-ის, Web of Science-ის ბაზებში ინდექსირებულ საერთაშორისი სამეცნიერო ჟურნალებსა და/ან კონფერენციათა მასალებში ნაშრომის გამოქვეყნების ვალდებულება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თავად დაწესებულებას ვითარების მუდმივი გაუმჯობესების მიზნებისათვის, მოცემულ ეტაპზე მიზანშეწონილად მიაჩნია პარტნიორ უცხოელ კოლეგებთან და პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ფარგლებში მეტი შესაძლებლობების გამოყენება,

ერთობლივი სამეცნიერო პროექტების განხორციელება.

ინტერვიუების დროს ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ პროგრამაზე, სასწავლო კურსების წასაკითხად პრაქტიკულად არ არის არცერთი მოწვეული პერსონალი. მოწვეული პერსონალი წარმოდგენილია მხოლოდ დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის სტატუსით. სამეცნიერო მოწვეული ხელმძღვანელები „გადმოყვნენ" ეკონომიკის „ძველი" პროგრამიდან გადმოსულ სტუდენტებს. პროგრამაზე ჩარიცხულმა სტუდენტებმა (61 სტუდენტი) 2021 წლის მარტის თვიდან აღიდგინა სტატუსი და გადმოვიდა ფაკულტეტზე წინა წლებში მოქმედი ეკონომიკის პროგრამიდან. მიმდინარე წელს, პროგრამაზე ჩაირიცხა 6 დოქტორანტი. უახლოეს პერიოდში იგეგმება სადისერტაციო საბჭოს შეკრება, რომელზეც განიხილება დოქტორაქტთა სამეცნიერო ხელმძღვანელების გადანაწილების საკითხი, კერძოდ, ხლემძღვანელებად აღარ იქნებიან მოწვეულები პერსონალი, თუ მათი მოწვევა თემიდან გამომდინარე არსებითი აუცილებლობა არ არის. დაწესებულების სტრატეგიიდან გამომდინარე, მოწვევა განხორციელდება ძირითადად ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით, ასევე, საგანზე ორიენტირებული სწავლებიდან თემაზე ორიენტირებულ სწავლებაზე გადასვლის სტრატეგიიდან გამომდინარე.

ფაკულტეტზე პროგრამას ემსახურება სათანადო კვალიფიკაციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი (სულ ჯამში 5 პერსონალი). მათი ვალდებულებები და უფლება-მოვალეობები განსაზღვრულია შესაბამისი სამუშაოთა აღწერილობებით, მათთან გაფორმებულ ხელშეკრულებებით. მათი სათანადო კვალიფიკაცია დასტურდება წარმოდგენილი პირადი საქმეებით და ინტერვიუს შედეგებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო პროგრამის „ეკონომიკა" თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები (CV, კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები; სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი);
- პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციების დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პირადი საქმეები (CV) (დანართი №5);
- დეკანატისა და დეპარტამენტის სპეციალისტების სამუშაო აღწერილობები;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანება ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდება" – http://gtu.ge/AboutStu/Thesis.php
- ბრძანება №136 სტუ აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების თაობაზე (04,07,2017) http://gtu.ge/pdf/brdzanebebi/brzz.136.PDF
- დადგენილება სტუ-ს საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის სტატუსის შესახებ;
- კონკურსის ვადები და ჩატარების პირობები http://gtu.ge/pdf/kon/konkursi_2017/konkursi_2017_1.pdf
- სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2010 წლის 14 მაისის №253 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური დატვირთვების გაანგარიშებისა და განაწილების ინსტრუქცია;
- საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ვებ-ვერდი: http://social.gtu.ge
- საკონსულტაციო საათების განრიგი http://social.gtu.ge/uploads/files/News/newspic27/ekonomika.pdf
- ინტერვიუ ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან, აკადემიურ პერსონალთან, დოქტორანტების ხელმძღვანელებთან და პროგრამის ხელმძღვანელთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ

დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ➢ აკადემიური პერსონალისთვის წაყენებულ მოთხოვნებში აისახოს Scopus-ის, Web of Science-ის ბაზებში ინდექსირებულ საერთაშორისი სამეცნიერო ჟურნალებსა და/ან კონფერენციათა მასალებში ნაშრომის გამოქვეყნების ვალდებულება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დაწესებულების პერსონალის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესის მიხედვით, სტუ-ის პროფესორ-მასწავლებელთა მიერ (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი, უფროსი მასწავლებელი, მასწავლებელი) აკადემიურ, სამეცნიერო-კვლევით და სტუ-სთვის მნიშვნელოვან სხვა საქმიანობაში მიღწეული შედეგების შეფასება წარმოებს შემდეგი კრიტერიუმებით: აქტივობები აკადემიურ საქმიანობაში; აქტივობები მეცნიერების მიმართულებით; სტუ–სთვის მნიშვნელოვანი სხვა საქმიანობები. ამასთან, უნივერსიტეტში ხორციელდება პროგრამის ფუნქციონირებაში ჩართული პერსონალის შეფასება და

კმაყოფილების კვლევა. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რეგულარულად აანალიზებს და აქტიურად იყენებს შეფასებისა და კვლევის შედეგებს, რათა ხელი შეუწყოს ფაკულტეტის თითოეულ აკადემიურ, სამეცნიერო და მოწვეულ პერსონალს საკუთარი ფუნქციების ეფექტიანად განხორციელებასა და პროფესიულ განვითარებაში.

სტუ-ში წახალისების ღონისძიებები ხორციელდება ობიექტური კრიტერიუმებისა და გამჭვირვალე პროცესის ფარგლებში, სადაც მნიშვნელოვანი აქცენტი კეთდება სამუშაოს შესრულების ხარისხის შეფასების შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე, ასევე, საყოველთაო წახალისების გზით, პრემირებისა, თუ სახელფასო დანამატის (ბონუსის) გაცემის გზით, **კერძოდ, უნივერსიტეტში შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების საფაკულტეტო კომისიები ახდენენ აკადემიური პერსონალის მიერ ჩატარებული მეცადინეობების ხარისხის შეფასებას და დაგროვილი ქულების შემთხვევაში გაიცემა ბონუსი (სახელფასო დანამატი).**

პერსონალი საკუთარი მიღწევების შესახებ ინფორმაციას განათავსებს მეცნიერული მიღწევების პერსონალურ გვერდზე, რომელიც განთავსებულია სტუ-ის ვებგვერდზე http://my.gtu.ge/, სადაც თითოეული პროფესორი ათავსებს თავის შესახებ სრულ ინფორმაციას, პუბლიკაციების სიას, მიუთითებს ციტირების ინდექსებს, ასევე, ჟურნალების იმფაქტ ფაქტორს.

ინტერვიუების შედეგად, დადგინდა, რომ ყოველწლიურად დაწესებულების მეცნიერების დეპარტამენტი აკეთებს ანალიზს დაწესებულები (მაკრო) დონეზე, რამდენი პუბლიკაცია გამოვიდა, გამოცემის ადგილს და ა.შ. ამგვარად, გროვდება ჯამური მაჩვენებლები და დაწესებულების მასშტაბით ხდება ანალიზი. დაწესებულების ადმინისტრაციაში სამეცნიერო მიღწევებს თვალს ადევნებს გამოყოფილი კურატორი. გარდა ამისა, ხარისხის სამსახური, პერსონალის სამეცნიერო აქტივობის შეფასების მიზნით მიმდინარე წლიდან, გეგმავს კონკრეტული ფორმით, პერიოდულად დაამუშაოს და მიაწოდოს ინფორმაცია ადმინისტრაციას პერსონალის სამეცნიერო აქტოვობის შეფასების შედეგების შესახებ. უახლოეს მომავალში იგეგმება ერთიანი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზის დოკუმენტის დამტკიცება.

პერსონალის საქმიანობისა და შრომითი პოტენციალის შეფასებისთვის ფაკულტეტზე სისტემატურად ხორციელდება გამოკითხვები, ხდება შედეგების შეფასება და ანალიზი, რომელიც იძლევა იმის საფუძველს, რომ შეფასება დამაკმაყოფილებელია. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების საფაკულტეტო კომისიის მიერ მოწმდება საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პერსონალის მიერ ჩატარებული ლექციები, ფასდება ინდივიდუალური და საერთო მდგომარეობა. ფაკულტეტის პერსონალის განვითარების მასალების შესწავლამ აჩვენა, რომ **ეკონომიკის საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალიდან პროფესიული განვითარების მიზნით უმრავლესობას აქვს სხვადასხვა ტრენინგების სერთიფიკატები და საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებში, სიმპოზიუმებსა და სემინარებში მონაწილეობის მაღალი მაჩვენებელი.**

განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი მონაწილეობს საერთაშორისო საგრანტო კონკურსებში, კითხულობენ ლექციებს სტუ-ს პარტნიორ უნივერსიტეტში, არიან საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალების სარედაქციო კოლეგიების წევრები, საერთაშორისო კონფერენციების თანაორგანიზატორები, საორგანიზაციო კომიტეტის წევრები, აქვეყნებენ ერთობლივ სტატიებს უცხოელ მეცნიერებთან ერთად. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, 2018 წლის ჩაატარებული კვლევის მიხედვით, საინჟინრო ეკონომიკის დეპარტამენტის სამეცნიერო კვლევითმა საქმიანობამ 8 სახელმწიფო უნივერსიტეტსა და მათთან შეერთებულ 48 სამეცნიერო დაწესებულებებს შორის მიიღო უმაღლესი შეფასება.

აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შექმნილია პროფესიული განვითარების ცენტრი, სადაც პერსონალი გადის ტრენინგებს სხვადასხვა მიმართულებით. **ინტერვიუს შედეგებიდან ირკვევა, რომ დაწესებულებამ ჩაატარა ვორკშოფები პერსონალთან კვლევების განვითარები კუთხით, პროგრამის შექმნისა და განვითარების კუთხით.**

ამასთან, აღსანიშნავია, რომ უახლოეს პერიოდში ფაკულტეტზე შეიქმნა გრანტების ოფისი, რომელიც ეხმარება პერსონალსა და დოქტორანტებს, კვლევისთვის დაფინანსების შესაძლებლობების ძიების პროცესში, ასევე საგრანტო წინადადებების მომზადებაში, ავრცელებს ინფორმაციას კვლევის დაფინანსებისა და გრანტების მოპოვების შესაძლებლობების შესახებ.

ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ დაწესებულება პერსონალის მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის ხელის შესაწყობად ახორციელებს სხვადასხვა ღონისძიებებს (**აღმოუჩენს პერსონალს ფინანსურ და ორგანიზაციულ მხარდაჭერას სამეცნიერო პუბლიკაციების, სტატიების გამოქვეყნებისას, სახელმძღვანელოებისა და მონოგრაფიების გამოცემისას, კონფერენციებში/სიმპოზიუმებში მონაწილეობის მისაღებად). თუმცა, ასეთი ღონისძიებების უზრუნველსაყოფად საჭირო ფინანსური რესურსები ფაკულტეტის ბიუჯეტში არ ჩანს, კერძოდ, სამეცნიერო/კვლევითი ხარჯებზე გამოყოფილი რესურსები.**

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო პროგრამის „ეკონომიკა“ თვითშეფასების ანგარიში;
- ფაკულტეტის ბიუჯეტი (დანართი №11);
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის CV, კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები; სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი (დანართი №5);
- „სტუ-ის პროფესორ-მასწავლებელთა შეფასების სისტემისა და რეაგირების შესახებ“ სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2011 წლის 27 სექტემბრის № 531 დადგენილება http://gtu.ge/quality/Files/Pdf/531%20shefaseba.pdf
- „სტუ-ს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესი“ - სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2011 წლის 6 მაისის № 450 დადგენილება; http://gtu.ge/quality/Files/Pdf/450cesi.pdf
- ვებ-გვერდი: „პროფესიული განვითარების ცენტრი“ (http://hpep.ge/ge/)
- ინტერვიუ ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან, ხარისხის სამსახურის წარმომადგენლ;ებთან, აკადემიურ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და დოქტორანტებთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- ფაკულტეტის ბიუჯეტში ცალკე პუნქტებად (ნათლად) გამოიყოს პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის - პუბლიკაციების, სტატიების გამოქვეყნებისას, სახელმძღვანელოებისა და მონოგრაფიების გამოცემისას, კონფერენციებში/სიმპოზიუმებში მონაწილეობის მისაღებად (მხარდასაჭერად) საჭირო ფინანსური რესურსები.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- ფაკულტეტზე ახლადშექმნილი გრანტების ოფისი

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დაწესებულებას გააჩნია სათანადო ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მისაღწევად. პროგრამის ეფექტურ განხორციელებას უზრუნველყოფს უწყვეტი ელექტროენერგია, გათბობის სისტემა, სველი წერტილები და სამედიცინო ცენტრი. ფაკულტეტის ყველა სართული უზრუნველყოფილია სახანძრო უსაფრთხოების სისტემებით.

დაწესებულებაში გამოყოფილია სამუშაო სივრცე დოქტორანტებისთვის, შეხვედრის ოთახი ხელმძღვანელთან სამუშაოდ, სამუშაო სივრცე პროფესორებისთვის, არსებობს საპროფესორო ოთახი, დაწესებულებაში არის შეუზღუდავი წვდომა ინტერნეტთან კოდის გარეშე. სტუდენტები ინფორმირებულები არიან არსებული რესურსების გამოყენების შესაძლებლობის და მოხმარების წესების შესახებ.

სტუ-ს ცენტრალურ ბიბლიოთეკაში განთავსებულია სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა, უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები. ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილას, ასევე ბიბლიოთეკის ვებ-გვერდზე განთავსებულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. სტუ-ს ცენტრალური ბიბლიოთეკის ბეჭდური და ელექტრონულ მატარებლებზე არსებული ფონდი მრავალფეროვანია, განახლებადია დარგში მიმდინარე განვითარების კვალდაკვალ და უზრუნველყოფს უნივერსიტეტში მიმდინარე ყველა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევასა და კვლევითი/სამეცნიერო კვლევით საქმიანობის განხორციელებას.

სილაბუსებში მითითებული ძირითადი ლიტერატურა ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. ნებისმიერი მომხმარებლისთვის უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი და ლიტერატურის ელექტრონული საძიებო სისტემა, ამასთან, სტუდენტებსა და პერსონალს აქვთ წვდომა Elsevier-ის მიერ შემოთავაზებულ პროდუქტებზე - სამეცნიერო ბაზებზე: ScienceDirect და Scopus, Cambridge University Press, Royal Society Publishing – journals, Bioone, IMF eLibrary, SAGE Journals, Edward Elgar Publishing, Duke University Press, Massachusetts Medical Society, Polpred.com Mass Media Review.

სტუ მონაწილეობს პროექტში „ელექტრონული ინფორმაცია ბიბლიოთეკებისთვის“, რომელიც ითვალისწინებს გაწევრიანებას კონსორციუმში და საინფორმაციო საშუალებების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას. კონსორციმში მონაწილეობით სტუ-ის მიეცა შემდეგი ელექტრონული რესურსების გამოყენების უფლება: Cambridge Jurmals Online, BioOne Complete, e-Duke Jurnals Scolarly Collection, Edward Elgar Publishing Jurnals and Developmens Studies e-books, IMechE Jurnals, New England Jurnals of Madicine, Royal Society Jurnals Collection, SAGE Premier.

ბიბლიოთეკას გააჩნია ელექტრონული წიგნების დარბაზი 100 კომპიუტერით. დაწესებულების ცენტრალურ ბიბლიოთეკაში შესაძლებელია ერთდროულად 400 მკითხველის მიღება.

აღსანიშნავია, რომ დაწესებულებაში ფუნქციონირებს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საინჟინრო ეკონომიკის დეპარტამენტთან არსებული ეკონომიკური პროცესების მოდელირების ლაბორატორია.

ლაბორატორიის ადმინისტრაციასთან და პროგრამაში ჩართული პერსონალთან ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ ლაბორატორიის კვლევის თემატიკა მრავალფეროვანია, ლაბორატორიის არსენალსა და შესაძლებლობებს ზრდიან გამოყენებითი პროგრამული პაკეტების საშუალებით, სტუდენტებს შეუძლიათ ამ პროგრამული პაკეტების გამოყენება ეკონომიკური ამოცანების გადასაწყვეტად, მოდელირებისთვის, სადოქტორო თემებზე მუშაობისას კვლევის პროცესში, ხორციელდება პროგრამული პაკეტების შედარებითი ანალიზი და პროგრამული პაკეტების გამოყენება კვლევითი თემატიკის შესაბამისად. ლაბორატორია დიდ დახმარებას უწევს დოქტორანტებს დისერტაციის პრაქტიკული (ძითადად, მესამე თავი) ნაწილის დამუშავებაში, კერძოდ, ცდილობენ მათ საკვლევ თემას ემპირიული კვლევის ფარგლებში შეუსაბამონ სათანადო პროგრამული პაკეტი. გარდა ამისა, ლაბორატორია სთავაზობს პოპულარული პროგრამების გამოყენების შესწავლას პერსონალსა და სტუდენტებს. დაგეგმილია ლაბორატორიის ტექნიკური, ტექნოლოგიური და პროგრამული შესაძლებლობების შემდგომი ზრდა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო პროგრამის „ეკონომიკა“ თვითშეფასების ანგარიში;
- სტუ–ს ცენტრალური სამეცნიერო ტექნიკური ბიბლიოთეკა: http://gtu.ge/Library/
- სტუ- ს ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი http://gtu.ge/bef/Resources/Library.php
- ფაკულტეტის მატერიალურ–ტექნიკური ბაზის აღმწერი დოკუმენტი;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ვიზუალური დათვალიერება პლატფორმა zoom-ის გამოყენებით;
- ფაკულტეტის ბიუჯეტი (დანართი №11);
- ვებ-გვერდი: „პროფესიული განვითარების ცენტრი“ (http://hpep.ge/ge/)
- ეკონომიკური პროცესების მოდელირების ლაბორატორიის ვიზუალური დათვალიერების შედეგები (პლატფორმა zoom-ის გამოყენებით);
- ინტერვიუ ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან, ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან, აკადემიურ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და დოქტორანტებთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- ფაკულტეტის საინჟინრო ეკონომიკის დეპარტამენტთან არსებული ეკონომიკური პროცესების მოდელირების ლაბორატორია
- ბიბლიოთეკაში არსებული რესურსების გამოყენებისა და მოხმარების წესების გაცნობის მიზნით საინფორმაციო შეხვედრები, ტრეინინგები სწავლების ყველა საფეხურის პირველი სემესტრის სტუდენტებისთვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „ეკონომიკა“ ფინანსდება ერთიანი საუნივერსიტეტო წესების შესაბამისად. ფინანსები პროგრამებისათვის განსაზღვრულია ფაკულტეტის ბიუჯეტში, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ. ბიუჯეტის გაანგარიშება ხდება საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მიერ და იანგარიშება პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების მიხედვით. პროგრამის ხარჯებში გათვალისწინებულია: აკადემიური, მოწვეული და დამხმარე პერსონალის სახელფასო სარგო და საშტატო განაკვეთის დატვირთვის მოცულობა, წლის განმავლობაში პროგრამის განვითარებისათვის გასაწევი ინფრასტრუქტურული ხარჯი, რაც ეკონომიკურად მიღწევადია და

შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს. თუმცა, ინტერვიუების დროს ეს ვერ დადასტურდა.

ფაკულტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია სულ შემოსავლები 3 814 250 ლარი, სულ ხარჯები 3 384 720 ლარია (სულ მოსალოდნელი პროფიციტი- 429 530 ლარი). ხარჯებში შორის შრომის ანაზღაურებაზე მოდის 2 018 200 ლარი (საერთო ხარჯების დაახლოებით 59, 6%). აღსანიშნავია, რომ სამეცნიერო ხარჯებზე გამოყოფილი თანხები ბიუჯეტის პროექტის შესაბამის გრაფაში არ ჩანს.

როგორც დაწესებულებისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ინტერვიუების შედეგად დადგინდა, ფაკულტეტის ბიუჯეტში 131 000 ლარამდე არის პროგრამიდან შენატანი. საკუთრივ პროგრამის ბიუჯეტში კი სავარაუდო ჯამური ხარჯები შემდეგნაირადაა წარმოდგენილი: სწავლების პირველი წლის სტუდენტთა რაოდენობაა 21 და სავარაუდო ხარჯი 45 125 ლარი, სწავლების მეორე წლის სტუდენტთა რაოდენობაა 12 და სავარაუდო ხარჯი 25 875 ლარი, სწავლების მესამე წლის სტუდენტთა რაოდენობაა 28 და სავარაუდო ხარჯი 56248 ლარი, სულ მოსალოდნელი ხარჯები გაანგარიშებულია 127 248 ლარის ოდენობით. როგორც ანალიზი გვიჩვენებს, პროგრამიდან ფაქტობრივმა შენატანები ფაკულტეტის ბიუჯეტში აჭარბებს პროგრამის მოსალოდნელ ხარჯებს. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის ბიუჯეტში ხარჯები წარმოდგენილია სტუდენტზე გაწეული მომსახურების მთლიანი ხარჯების სახით და არ არის ჩაშლილი (მაგ. კვლევითი ღონისძიებათა დასაფინანსებლად, განვითარებისთვის, სამოგზაუროდ და ა.შ ხარჯებად).

დოქტორანტებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ კვლევის დაფინანსების მიზნით, დოქტორანტს შეუძლია დაწეროს განცხადება და მიმართოს ადმინისტრაციას ფინანსური მხარდაჭერისთვის. გამომდინარე აქედან, ექსპერტთა ჯგუფს სასურველად მიაჩნია, რომ პროგრამის ბიუჯეტში ნათლად აისახოს დოქტორანტების კვლევების მხარდასაჭერად საჭირო დაფინანსება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო პროგრამის „ეკონომიკა“ თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის ბიუჯეტი (იხ. დანართი № 11);
- ფაკულტეტის ბიუჯეტი (იხ. დანართი №11);
- ინტერვიუ ადმინისტრაციულ პერსონალთან, დოქტორანტებთან.

რეკომენდაციები:

- პროგრამის ბიუჯეტში აისახოს დოქტორანტების კვლევების მხარდასაჭერად საჭირო დაფინანსება

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება
o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა აღწერს ყველა იმ ელემენტს, რომელიც მონაწილეობს უნივერსიტეტის ხარისხის გაუმჯობესების პროცესში. იგი უნივერსიტეტის მართვის პროცესის შემადგენელი ელემენტების: დაგეგმვის, ორგანიზების და მონიტორინგის განუყოფელი ნაწილია. სისტემა მოქმედებს უნივერსიტეტის მისიის, პოლიტიკის, სამართლებრივი და სხვა ვალდებულებების კონტექსტში, ეყრდნობა ძირითად პრინციპებსა და სტანდარტებს, რითაც ხელმძღვანელობს უნივერსიტეტი თავის საქმიანობაში. სისტემა ახორციელებს ციკლურ პროცესს,

რომელიც მოიცავს ოთხ ძირითად ურთიერთდაკავშირებულ ელემენტს: დაგეგმვა, განხორციელება, შეფასება, განვითარება (PDCA).

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემუშავებულია სამწლიანი სამოქმედო გეგმა, სადაც დადგინდა ცალკეული სამუშაო პროცესის, ფუნქციის ან სამუშაოს კონკრეტული მიზნები და ამოცანები. შექმნილია ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების საფაკულტეტო კომისიები, რომლის შემადგენლობაში შევიდა დეპარტამენტების მიხედვით აკადემიური პერსონალი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი და სტუდენტი, რომლებიც ჩართულნი არიან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ყოველ დაგეგმილ აქტივობაში.

პროგრამაში ჩართული პერსონალი მონაწილეობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში. პროგრამის განვითარებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას ითვალისწინებს ხარისხის შეფასების შედეგებს, რომლის ფარგლებშიც აუცილებლობას წარმოადგენს ავტორიზაცია/აკრედიტაციის მიმდინარე პროცესების გაცნობის მიზნით შესაბამისი საკონსულტაციო სამუშაოების ორგანიზებაში მონაწილეობა; სასწავლო პროცესის, საგანმანათლებლო პროგრამების და სასწავლო კურსების ხარისხის ამაღლების უზრუნველყოფის მიზნით გამოკითხვების ჩატარებაში მონაწილეობის მიღება. **ამასთან ერთად, სტუ-ს რექტორის ბრძანებით შეიქმნილია საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების საფაკულტეტო კომისიები, დამტკიცდა მათი საქმიანობის რეგლამენტი. კომისია ამოწმებს საგანმანათლებლო პროგრამებითა და სასწავლო კურსების პროგრამებით გათვალისწინებული ლაბორატორიული აღჭურვილობის, სათანადო ლიტერატურის, პროგრამების განმახორციელებელი ადამიანური რესურსის, აუდიტორიებისა და პროგრამის სხვა პარამეტრების შესაბამისობას ავტორიზაციისა და აკრედიტაციის მოთხოვნებთან, აგრეთვე პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შესრულების პროცესის მიმდინარეობას.**

პროგრამის პერსონალი მონაწილეობდა პროგრამის თვითშეფასების პროცესშიც. **ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ პროგრამის აკრედიტაციაზე წარსადგენად მომზადების მიზნით შეიქმნა სპეციალური თვითშეფასების ჯგუფი პერსონალის, სტუდენტების და დამსაქმებლების მონაწილეობით.** დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „ეკონომიკის“ სააკრედიტაციოდ მომზადების მიზნით, ჩატარდა დეპარტამენტის სხდომა, შეირჩა თვითშეფასების ჯგუფის ხელმღვანელი, გაიწერა სამუშაო გეგმა, დამტკიცდა ჯგუფის შემადგენლობა, განისაზღვრა ჯგუფის თითოეული წევრის პასუხისმგებლობის სფეროები. თვითსეფასების პროცესში ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აქტიურად მუშაობდა პროგრამის ხელმძღვანელთან და პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალთან აკრედიტაციის განახლებული სტანდარტების მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილების მიზნით პროგრამის მომზადების თვალსაზრისით. **ფაკულტეტის შიდა ხარისხის სამსახური თვითშეფასების ჯგუფთან და პროგრამაში ჩართულ პერსონალთან ერთად გეგმავდა და ახორციელებდა ღონისძიებებს თვითშეფასების ანგარიშზე მუშაობის დროს გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო სასწავლო სასწავლო კურსების შინაარსისა და ლიტერატურის შესაბამისობას უმაღლესი განათლების მერვე საფეხურის მოთხოვნებთან, რასაც ადასტურებს პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები.**

თვითშეფასების ჯგუფის წევრები სამუშაო შეხვედრებზე სისტემატურად იკრიბებოდნენ წარმოდგენილი ინფორმაციის დაზუსტებისა და ანალიზის მიზნით. შეხვედრების მონაწილეთა შორის იყვნენ დარგის სპეციალისტები - პოტენციური დამსაქმებლები. თვითშეფასების პროცესში ხდებოდა დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა, გამოკითხვის შედეგების დამუშავება, შენიშვნების, მოსაზრებების გაანალიზება, განხილვა და გათვალისწინება. პროცესს კოორდინაციას უწევდა ჯგუფის ხელმძღვანელი-საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი. თვითშეფასების ანგარიში, პროგრამა და თანდართული დოკუმენტაცია განხილულ იქნა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შეთანხმებისა და სტუ–ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში

წარდგენის მიზნით. სტუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ასევე, პროგრამის ხელმძღვანელს მიაწოდა ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშში განხორციელებული ცვლილებების შესახებ, რის შემდგომ განხორციელდა პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის ახალ ფორმაში ასახვა. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თვითშეფასების ანგარიშის და თანდართული დოკუმენტაციის მომზადებისას ჯგუფის წევრებს უწევდა კონსულტაციასა და დახმარებას.

როგორც თვითშეფასების ჯგუფთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა თვითშეფასების ჯგუფის წევრებმა პროგრამის აკადემიურ პერსონალთან და პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად ჩაატარა შრომის ბაზრის ანალიზი, შეიმუშავა პროგრამის მიზნები და შედეგები, გადაამუშავა პროგრამის სტრუქტურა. თვითშეფასების ჯგუფი და პროგრამის შექმნა/გადამუშავებაზე მომუშავე აკადემიური პერსონალი მუშაობდა კოორდინირებულად და მათ შორის, პროგრამის მომზადების თვალსაზრისით მკვეთრი გამიჯვნა არ ყოფილა, რადგან აკადემიური პერსონალის მნიშვნელოვანი ნაწილი ამავე დროს იყო თვითშეფასების ჯგუფის წევრიც.

აღსანიშნავია, რომ თვითშეფასების ანგარიში აღწერს ძირითად პროცესებს და იძლევა სათანადო ინფორმაციას, რაც საჭიროა ანალიზისა და შეფასებისთვის, თუმცა, სასურველია თვითშეფასების ანგარიშში უფრო ფართოდ და სიღრმისეულად იქნეს წარმოდგენილი ანალიტიკური ნაწილი. ამასთან, შრომის ბაზრის ანალიზში გვხდება ზოგიერთი ტექნიკური უზუსტობა.

პროგრამის განხორციელების ეტაპზე ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აწარმოებს სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი და შემოქმედებითი მუშაობის, აგრეთვე, პერსონალის პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების ხარისხის სისტემატიურ შეფასებას, მონიტორინგისა და პერიოდული შემოწმებების შედეგების ანალიზს, რის შედეგადაც შეიმუშავებს რეკომენდაციებს სწავლისა და სწავლების ხარისხის რეგულარულად მიმდინარეობს სტუდენტთა კმაყოფილების, მოსაზრებების შესწავლა, ანალიზი და შეფასება, რომელსაც ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, პროგრამაში ჩართულ პერსონალთან ერთად, იყენებს სწავლა-სწავლების პროცესში გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრისათვის.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, გამოკითხვების საფუძველზე, პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, ხელმძღვანელობს მოდიფიცირების პროცესს. ფაკულტეტზე პერიოდულად მიმდინარეობს სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და პოტენციურ დამსაქმებელთა მოსაზრებების შესწავლა, ანალიზი და შეფასება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო პროგრამის „ეკონომიკა“ თვითშეფასების ანგარიში;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება; http://gtu.ge/quality/About-Us/Statue.php
- უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2011 წლის 10 ივნისის №460 დადგენილება ”სტუ-ს სასწავლო პროცესის დისციპლინარული კომისიის შექმნის შესახებ”;
- ”სტუ-ს პროფესორ-მასწავლებელთა შეფასების სისტემისა და რეაგირების შესახებ” საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2011 წლის 27 სექტემბრის № 531 დადგენილება;
- სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 17 აპრილის № 01-05-04/108 დადგენილებიით დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები;
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი (დანართი №3);
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ვებ-გვერდი: http://gtu.ge/quality ;

- ინტერვიუ ადმინიატრაციასთან, აკადემიურ პერსონალთან, თვითშეფასების ჯგუფთან, დოქტორანტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან დაწესებულებისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- თვითშეფასების ანგარიშში ფართოდ და სიღრმისეულად უნდა იყოს წარმოდგენილი ანალიტიკური ნაწილი.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამას „ეკონომიკა“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 8 დეკემბრის №1173284 გადაწყვეტილებით, მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია. მოდიფიცირებულ პროგრამაში გათვალისწინებულია ექსპერტთა ის რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც პროგრამის მოდიფიცირებაში ჩართულმა აკადემიურმა პერსონალმა მიიჩნია პროგრამის განვითარებისათვის სასარგებოლოდ. გაღრმავდა დამსაქმებლებთან ინტერნსიური თანამშრომლობა მათ მიერ საგანმანათლოებლო პროგრამის შეფასების კუთხით. ამასთან, სადოქტორო პროგრამის გარე შეფასებაში გამოყენებული იქნა გამოყენებული საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფართო კავშირები და პარტნიორული ურთიერთობები უცხოუ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ეკონომიკა“, პროექტი განსახილველად გადაცემული ჰქონდათ დამსაქმებლებსა და პარტნიორი უნივერსიტეტების წარმომადგენლებს. მიღებულია პროგრამის დადებითი გამოხმაურებები ტორუნის ნიკოლაუს კოპერნიკის უნივერსიტეტიდან (პოლონეთი), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტიდან.

აღსანიშნავია, რომ დამსაქმებლებიდან და უცხოური უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან მიღებული გამოხმაურებები წარმოაჩენენ დადებით შეფასებას, თუმცა, სასურველი იქნება გარე შეფასების უფრო სტრუქტურიზებული სახით წარმოდგენა. ამისათვის სასურველია დაწესებულების მიერ დარგის სპეციალისტებიდან, უცხოური/ადგილობრივი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან და დამსაქმებლებიდან მისაღები გარე შეფასების წინასწარ განსაზღვრული ფორმის შექმნა საგანმანათლებლო პროგრამის დეტალური შეფასების მიზნით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „ეკონომიკა“;
- სადოქტორო პროგრამის „ეკონომიკა“ თვითშეფასების ანგარიში;
- დარგის სპეციალისტებიდან, უცხოური/ადგილობრივი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან და დამსაქმებლებიდან მიღებული გამოხმაურებები (დანართი №8);
- ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელთან, პროგრამის ხელმძღვანელთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- დაწესებულების მიერ დარგის სპეციალისტებიდან, უცხოური/ადგილობრივი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან და დამსაქმებლებიდან მისაღები გარე შეფასების წინასწარ განსაზღვრული ფორმის შექმნა საგანმანათლებლო პროგრამის დეტალური შეფასების მიზნით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ზოგადად დაწესებულებაში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგის და ხარისხის შეფასების პროცესი კომპლექსური პროცესია. ტარდება კმაყოფილების კვლევები, სასწავლო კურსების შეფასება, ლექტორთა შეფასება. პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგების გაანალიზების საფუძველზე ხდება პროგრამის მოდიფიცირება. საჭიროების შემთხვევაში, პროგრამა იყენებს განმავითარებელ კოლეგიალურ შეფასებას. პროგრამის ფარგლებში წინასწარ განსაზღვრული ფორმის მეშვეობით ხორციელდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის სწავლების შეფასება ლექციებზე კოლეგების დასწრების საშუალებით, რაც ემსახურება სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას. დახვეწისა და გაუმჯობესების მიზნით, ყოველი ძირითადი სასწავლო კურსის ბოლოს, სტუდენტები აფასებენ (კითხვარების მეშვეობით) პედაგოგს. მონიტორინგისა და პროგრამის შედეგების კომპლექსური მაჩვენებლების გამოყენებით ხორციელდება პროგრამის ეფექტურობის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში - პროგრამის მოდიფიცირება და გაუმჯობესება.

სტუ-სა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელდა სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის შეფასება. შეფასების პროცესებში ჩართულები იყვნენ აკადემიური და მოწვეული პერსონალი, დამსაქმებლები, დარგის სპეციალისტები. შეფასებები ხორციელდებოდა როგორც შეხვედრებზე, ასევე კითხვარების საშუალებითაც. პროგრამის შეფასებისთვის დამუშავდა მიღებული ინფორმაცია, გაანალიზებულ იქნა და განისაზღვრა მისი ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები. საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის შეფასების და

აკრედიტაციისათვის მზადების პროცესში მონაწილეობდა საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ჯგუფი.

აღსანიშნავია, რომ პროგრამის მუდმივი მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის გამოყენებითაც. როგორც დაწესებულებისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგებით დადგინდა, დაწესებულებაში სასწავლო კურსების სწავლის შედეგების შეფასება ხდება სასწავლო კურსის თითოეულ კომპონენტთან მიმართებით. ამ მიზნით დაწესებულებაში სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში ინერგება სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფა. დაწესებულებაში სადოქტორო პროგრამაზე სწავლის შედეგი ფასდება დისერტაციით. დისერტაციის ერთჯერადი შეფასებისას საბოლოო შეფასების მიხედვით ხდება სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება, რასაც დაწესებულება მიიჩნევს საკმარისად საჭიროებიდან გამომდინარე ინფორმაციულობის თვალსაზრისით და საჭიროდ არ მიაჩნია შეფასების ჩაშლა კომპონენტების მიხედვით და რომელიმე კომპონენტის გამოყოფა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „ეკონომიკა“;
- სადოქტორო პროგრამის „ეკონომიკა“ თვითშეფასების ანგარიში;
- სტუ–ს აკადემიური საბჭოს 2011 წლის 27 სექტემბრის დადგენილება № 531 სტუ-ს პროფესორ-მასწავლებელთა შეფასების სისტემისა და რეაგირების შესახებ;
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი (დანართი №3);
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ვებ-გვერდი: http://gtu.ge/quality
- სტუდენტების, პერსონალის და დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები (დანართი №14);
- ინტერვიუ ადმინიატრაციასთან, აკადემიურ პერსონალთან, თვითშეფასების ჯგუფთან, დოქტორანტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან დაწესებულებისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: **სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: **ეკონომიკა, სადოქტორო**

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 48

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა

მარინა ჩავლეიშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა

მერაბ კაკულია

სახელი, გვარი, ხელმოწერა

ეკატერინე მიქელაძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა

ია ნაცვლიშვილი

სახელი, გვარი, ხელმოწერა

თამარ თავხელიძე